შაბათი 1919 წ. აპრილის 12 №81
წელიწადი მეხუთე

შაბათი 1919 წ. აპრილის 12 № 81
ფასი 1 მან.

# საქართველო

**რედაქცია**

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის გვარი და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

**მისამართი:** თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო"

**კონტორა**

„საქართველოზე" ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ღირს—50 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 20 მანეთი. ცალკე № 1 მან. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 1 მ. 50 კ. უკანასკნელზე—1 მ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოეულზე 25 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 3 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 საათიდან 3 საათამდე.

**ტელეფონი** რედაქციისა და კონტორისა **15—73**

ჩვენი გაზეთის კანტორასთან დაარსდა „საქართველოს" რედაქციის ფონდი.

დაეხმარეთ ფონდის გაძლიერებას.

ღრმად დამწუხრებულნი დები ფეოდოსი ნიკოლოზის ასული გუგუნავასი და ელენე ნიკოლოზის ასული ლორთქიფანიძისა, ძმა სიმონ ნიკოლოზის ძე ლორთქიფანიძე, რძალი მარიამ ივანეს ასული ლორთქიფანიძისა, სიძე მისეილ ლევანის ძე ლორთქიფანიძე, ძმისწულები და დისწულები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ უეცრივ გარდაიცვალა კნეინა

**სოფიო ნიკოლოზ ლორთქიფანიძის ასული**

## მიქელაძისა

რომლის გამოსვენება, საკუთარ სახლიდგან, თბილისის ქუჩაზე საკათედრო ტაძარში დანიშნულია 12 აპრილს შაბათს, დილის 9 საათზე. წირვისა და პანაშვიდის გამოსვლის შემდეგ მიცვალებული გასვენებული იქნება ქუთაისის სადგურზე და იქიდან მატარებლით ნაშუადღევის 4 საათზე გასვენებული იქნება სოფელ კულაშში, სადაც მოხდება დაკრძალვა 1—2293—1

უსაზღვრო მწუხარებით გულ დატანჯული ლუბა იაკინთეს ასული წერეთლისა აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ საყვარელ დეიდაშვილის

## დათიკო ლეჟავას

ვერაგულად მოკვლას. 1—2294—1

გულდამწვარი სიძე ილია და ბარბალე (ფაცია) მიქაძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ საყვარელის

**დავით დარისპანის ძე**

## ლ ე ჟ ა ვ ა ს

ტრაღიკულად გარდაცვალებას. დღეს 12 აპრილს ნაშუადღევის 4 ს. იქნება გადახდილი პანაშვიდი მიხეილის საავადმყოფოს ეკლესიაში რის შემდეგ ცხედარს წაასვენებენ სადგურზე. 1—2294—1

**რესტორანი პარიზი რესტორანი**

ქართულ კლუბის ქვეშ (სასახლის ქუჩა)

სრულიად ახლა გადაკეთებული

**ცალკე მოწყობილ დარბაზებით**

**გაიხსნა 14 მარტიდან**

მზადდება ყოველ დღე ხაგანგებო: საუზმე, სადილი, ვახშამი აზიზ კერძებით.

საუცხოვო საჭმელები საქართველოს ყველა კუთხისა და ევროპიული

**საგანგებო ყავა-ხანა**

✦✦✦ ფასები ზომიერია ✦✦✦

საამხანაგო, საზეიმო სადილ-ვახშმები ფას-დაკლებით.
(მსახურთ პროცენტები მოსპობილია)

ხასმელები ყველა კუთხისა, ფირმისა და მარკისა.

25—32—21 პატივისცემით: ხ. გიგიბერია და ვარ. გვათუა.

**ლეკურის კურსები**

მ ს ა ხ ი ო ბ

## ელო ანდრონიკაშვილისა

1 ლი აპრილიდან გაიხსნება ლეკურის კურსები მე-7-დე გიმნაზიის შენობაში (ყოფილი კადეტის კორპუსი) მისავალი ევანგულოვის ქუჩიდან სახელმწიფო თეატრის პირდაპირ. პირველი კარები.

ჩაწერა შეიძლება საღამოობით 5-დან 7 საათ.

25—39—15

პუშკინის ქუჩაზე, პუშკინის პასაჟში მაღაზია № 20

გაიხსნა სპეც. საათების, საიუველირო და საჩუქურთმო

## სახელოსნო

ყოფილ სამხედრო მესაათის

**მიხეილ ნიკოლოზის ძე გენკინისა.**

ყოველი შეკვეთილი საქმე კეთდება საჩქაროდ, სუფთად და ხელმისაწდომ ფასებში. 5—45—5

**სახელმწიფო თეატრი**

**საოპერო დასი ს. ი. ევლახიშვილისა**

შაბათს, 12 აპრილს, წარმოდგენილი იქნება

**დირიჟორ სამოსუდის საბენეფისოდ**

1.
## ბატერფლეი
2.
## მეფისტოფელი

(ერთი მოქმედება)

დასაწყისი სალამოს 7 ნახ. საათზე.

კვირას 13 აპრილს დილით „დემონი", სალამოთი „ტრუბადური", 14 აპრილს „რიგოლეტო", 15 აპრილს „კარმენი", 16 აპრილს „ჟიდოვკა".

**კონსერვატორიის დარბაზი**

## 17 აპრილი

**ტიციან ტაბიძის**

## პოეზიის საღამო

**კვირას, აპრილის 13-ს**

## ძმურ ნუკრში

დილის 10 საათზე დანიშნულია

## წლიური კრება

თბილისის ქართველ ქალთა საზოგადოებისა.

განსახილველია წლიური ანგარიში, არჩევნები გამგეობისა და სარევიზიო კომისიისა. 2—უ—2

**გორის ქართველ ვაჭარ-მრეწველთა კავშირის**

## საბჭო და გამგეობა

ამით აცხადებს კავშირის წევრთა საყურადღებოდ, რომ კვირას, 13 აპრილს, დილის 11 საათზე კავშირის ბინაზე, დანიშნულია

## წლიური საზოგადო კრება

განსახილველია: 1. სარევიზიო კომისიის მოხსენება; 2. განხილვა და დამტკიცება 1918 წლის ანგარიშისა; 3. ცალკე მოხსენება გამგეობის თავმჯდომარე ზ. ქიტიაშვილისა; 4. განხილვა და დამტკიცება 1919 წლის ხარჯთ-აღრიცხვისა; 5. საბჭოს და გამგეობის იმ წევრთა არჩევა, რომელთაც წესდების ძალით ვადა გაუვიდათ; 6. სარევიზიო წევრთა და მათ კანდიდატების არჩევა; 7. მიმდინარე საკითხები.

**ის წევრნი, რომელთაც საწევრო გადასახადი არ ექნებათ მთლათ გადახდილი კრებაზე დაშვებულნი არ იქნებიან.**

საბჭო და გამგეობა. 1—2284—1

**ზელტერის და ხილეულობის**

**წ ყ ლ ი ს დამზადებელთა**

## საყურადღებოდ

**ბორჯომის სახელმწიფო მამულის გამგეობამ**

დაიწყო დამზადება ქიმიურად დაწმენდილ, მშრალ, უწყლო ნახშირბადისა... გამოსადეგია ბ-ნნ დამმზადებელთთვის წყლის გაზში გასატარებლად.

10 გირვანქიან ბალონებში 60 ატმოსფერამდე შეკუმშული გაზი ჰღირს 250 მ. (წმინდა წონა გაზისა უჭურჭლოდ). ჭურჭელი არ გაიყიდება; მასში მყიდველებს განსაკუთრებული გირაო ჯადაჰხდებათ. თუ ჭურჭელს მყიდველი წარმოადგენს, მაშინ გაზი გირვანქა 25 მანეთად დაეთმობათ.

შეკვეთა და ყოველგვარი ცნობების მიღება შეიძლება ბორჯომში, ბორჯომის სახელმწიფო მამულის მთავარ კონტორაში. 2—2281—2

## მიწად მოქმედების სამინისტრო

აცხადებს, რომ 1919 წლის, აპრილის 16, დღის 12 საათზე სამინისტროს შენობაში (პეტრე დიდის ქ. № 32) საჯაროდ გაიყიდება სამინისტროს საწყობში (დამზადებული და დახერხილი ხე-ტყის მასალა 99.786 კვადრატული ვერშოკი 598.716 მან. შეფასებული მასალა დაყოფილია 14 გასაყიდ ნაწილად.

აღნიშნულ ხე-ტყის გაყიდვისა და გადაზიდვის პირობების გაგება შეიძლება იმავე შენობის სატყეო განყოფილებაში ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმეებისა, დილის 9—3 საათამდე. 2—46—2

**მედიცინის დოქტორი**

## ა. გ. მაჭავარიანი

ქირურგიულ ავადმყოფთათვის. იღებს საღამოს 5—7 საათ. მიხეილის ქ. სახლი ოდამოვისა № 111, (მე-2 ფლიგელი, ეზოში) სავლე ტელეფონი № 43.

60—2171—21

## იყიდება

## ველოსიპედი

**ხელმისაწდომ ფასში.**

მისამართი: ყაზბეგის ქუჩა № 5.

4—2291—2

**პირველ მაისიდან გაიხსნება რუსულ-ქართული საზაფხულო**

## საბავშვო ბაღი

## გიგინეიშვილისა

**საგნები:** ფრანგული ან ინგლისური (მშობლების სურვილის მიხედვით) ფიზიკური ვარჯიშობა, ცეკვა, პლასტიკა, მუსიკა, ხატვა და ყვავილების მოვლა.

**მიიღებიან ბავშვები 4—9 წლამდის.**

ჩაწერა და ცნობების მიღება 3 საათიდან 6 საათამდის.

ოლღას ქუჩა № 31. ბინა 2. საბავშვო ბაღი. ტელ. 2—04.

12—2289—2

## საეჭვო კონფერენცია

ყოველ დღიურად მტკიცდება სამწუხარო ფაქტი, რომ მთავრობა ძველი იდეოლოგიის ნაშთით სცხოვრობს. არ იქნა, მის ფსიხიკაში საქართველომ დღემდე ვერ დაიჭირა განთვითებული სახელმწიფოს ადგილი. ძველებურად, ერთმანეთში აქვს არეული საქართველო, სომხეთი აზერბაიჯანი, დაღესტანი, კასპიის იქითა მხარე და სხვა. გაურკვეველია მისთვის, თუ რა სფეროშია შესაძლებელი ყველა ამათი თანამშრომლობა და ურთიერთობა და რა და რა სფეროებში უნდა იყვნენ ერთმანეთისგან გამოყოფილი და ერთმანეთში ყოვლად შეურევლნი. ჩვენი მართველების ტვინში ჯერ კიდევ საკმარისად არ არის გამჯდარი ეროვნული სახელმწიფოს ყველა შემეცნება და ატრიბუტი. და რეალური პოლიტიკა ამ სახელმწიფოს აღმშენებელ ხალხისა არსებითად მუშათა კლასის ინტერნაციონალურ სოლიდარობის იდეით იკვებება, რომელიც თავის ლოღიკურ დამთავრებაში ყოველ-გვარ ეროვნულ სახელმწიფოებრივ ორგანიზაციის და მიჯნების უარყოფას მოასწავებს. ჩვენი მთავრობის მართველი იდეის ამ ანტისახელმწიფოებრივ ნორმაშია დამარხული შინ და გარედ ჩვენი მარცხების მთავარი მიზეზი. ამ ფსიხოლოგიური ვითარების გამო მთავრობა ინსტიქტიურად ვერ იჭერს წინასწარ გაფრთხილების ზომებს სახელმწიფოს ინტერესის დასაცავად. ატროფიაა სახელმწიფო თავდაცვის და შენობის ალღოსი. აქედან წარმოსდგება დროზედ რაციონალური ზომების მიუღებლობაც ჩვენი ინტერესების სასარგებლოდ. ჩვენი ქვეყანა ყველასათვის ღიაა და პატრონი დარაჯად არსად მოსჩანს. დღევანდელ საშინაო და საგარეო კრიზისის დროს, დღევანდელ მღელვარებისა და მაქსიმალისტურ სულისკვეთების დროს, თბილისში დანიშნულია მთელი კავკასიის და კასპიის იქითა მხარის პროფესიონალურ კავშირების ყრილობა. გაზეთებიდან ვიცით, რომ ამ კონფერენციის დანიშვნა თბილისში, გადასწყდა რუსის ბოლშევიკებისა და ესერების ხმებით ქ. ბაქოში. ამ ხალხის პოლიტიკური მისწრაფება და მისი პოზიცია საქართველოსადმი ყველასთვის აშკარაა და ცხადი, რომელი სახელმწიფოებრივი ინტერესი, ან რომელი ეროვნული საჭიროება მოითხოვს, რომ დღევანდელს პირობებში ასეთი ინტერნაციონალური საპროფესიო კავშირების კონფერენცია გაიხსნას ჩვენს დედა-ქალაქში, სადაც ისედაც ბევრი მეამბოხე და ბევრი ასაფეთქებელი მასალა მოიპოვება, ისევ-ისე ჩვენი მთავრობის დაუდევრობით. ან რა სარგებლობაა მოსალოდნელი? აბსოლიუტურად შეიძლება ითქვას, რომ ამისგან არავითარი კარგი არ არის მოსალოდნელი, და რომ არც არავითარი სახელმწიფოებრივი და ეროვნული საჭიროება ამგვარ კონფერენციას არ მოითხოვს. ხოლო შესაძლებელი კია ბევრი სამწუხარო ამბები დაგვიტრიალოს. ამ კონფერენციას არ მოითხოვს არც ჩვენი რესპუბლიკის პროფესიულ მოსამსახურეთა ეკონომიური ინტერესი. ეჭვი არავის შეეპარება, რომ საქართველოში პროფესიული კავშირები თავს არხეინად გრძობენ. ან რა აქვს საერთო საქართველოს პროფესიულ კავშირებს ამიერ-კასპიის მხარის პროფესიულ კავშირებთან და საერთოდ რომელი სასიცოცხლო და გარდუვალი ინტერესი მოითხოვს ამ უცნაური კონგლომერატის თავმყრას საქართველოს შუაგულში! გაზეთი „ერთობაც" ეჭვის თვალით უყურებს ამ კონფერენციას. იგი ფარულ პოლიტიკურ ზრახვებს უფრო ხედავს ამ კონფერენციის მომწვევ ინიციატორებში, ვიდრე სხვა რასმე. რადგან ასეა, განა იმავე „ერთობის" პარტიისა და „ერთობის" მთავრობის ხელში არ არის ძალა-უფლება, რომ საქართველოს კარები ყველას არ გაუღოს და, რომ საქართველოში აკრძალოს ყოველი ისეთი მშფოთვარე ყრილობა, რომელსაც ჩვენი ინტერესი არ მოითხოვს და რომელსაც დიდი ვნების მოტანა შეუძლიან? ნეტავი ვიცოდეთ, თუ ამის სათანადო ნებართვა იყო გამოთხოვილი და თუ იყო, რა მოსაზრებით შეიწყნარა და დასტური დასცა ჩვენმა მთავრობამ ამგვარ თხოვნას?

## სკოლის რეორგანიზაციისათვის

5.

საქართველოს განთავისუფლებამ ლოღიკურად მოითხოვა მისი ცხოვრების სხვა და სხვა დარგის გაეროვნება. თუ რომელიმე სხვა სფეროში საჭირო და აუცილებელი იყო ამ პროცესის დაჩქარება და მთლიანად ბოლომდის მიყვანა,—ეს პირველ ყოვლისა უნდა მომხდარიყო ჩვენს, რუსული სულით და იდეა მიმართულებით გაჟღენთილს, სკოლაში. სიმართლე უნდა ითქვას, რომ, მართლაც, განათლების სამინისტრო პირველ რიგშივე შეუდგა ამ საქმეს: მან, ეროვნებათა მიხედვით, მოახდინა სასწავლებლებში შეგირდების გადაჯგუფ-გადმოჯგუფება. ამის მიხედვით თბილისში ზოგი სკოლა ქართულ სკოლად იქმნა აღიარებული, ზოგი—რუსულად, ზოგი სომხურად და რამოდენიმე კი ინტერნაციონალურად.

ქართულად აღიარებულ სკოლებში ოთხ კლასამდის ყველგან გატარებულ იქმნა ნაციონალიზაცია. ჩვენ აქ არ შეუდგებით იმის განხილვას, თუ რამდენად გარდუვალი იყო ის ტეხნიკური და იდეიური მიზეზები, რომლის ზედგავლენით მმართველ წრეებში გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უკანასკნელი ცნობები

საზავო კონფერენციაზე ამერიკა და მოკავშირენი ვერ თანხმდებიან.

გერმანიაში საბჭოთა მე-2-ე კონგრესი გაიხსნა.

ბოლშევიკური ცნობით რუმინიაში აჯანყებაა, რუმინიის ჯარი დაწყნარებაზე უარს აცხადებს.

საბჭოთა ჯარი ყირიმში წინ მიიწევს.

კოლჩაკის ჯარი საბჭოთა მხარეზე გადადის.

ოდესის აღების გამო კიევში მუშათა მანიფესტაციები გაიმართა.

ბუხარაში საბჭოთა მთავრობა ფეხს იკიდებს.

კიევში დახვრიტეს ბეილ სის პროცესში ცნობილი ვერა ჩერებრიაკოვა.

დაწყდა ასეთი ნახევრად გაეროვნება და თუ თვით განათლების სამინისტროს რა აქტიური წილი უდევს საქმის ასე მოგვარებაში. მხოლოდ საქმის ამ სახით გადაწყვეტამ ერთი სამწუხარო ულოღიკობა დაბადა ქართულ განათლების საქმეში, რომელსაც ოთხი წლის განმავლობაში ადგილი ექნება ჩვენში. აი საქმე რაშია: ჩვენმა ქართულმა უნივერსიტეტმა თავის კედლებში ოთხი წლის განმავლობაში უნდა შეიხიზნოს უმრავლესობა ქართველ სტუდენტობისა, რომლებმაც რუსულ ენაზე შეითვისეს საგნები, სამეცნიერო ტერმინები და მთელი მექანიკა აზროვნებისა და რომლებიც, მაშასადამე, მოუმზადებელი იქნებიან ქართულ ენაზე მეცნიერების შეთვისებისათვის უმაღლეს სკოლაში.

მაგრამ ამას თავი დავანებოთ. განათლების სამინისტროს მოქმედების დასახასიათებლად უფრო საინტერესოა ვიცოდეთ, თუ რანაირად გაუძღვა, რა ხელმძღვანელობა გაუწია და რა შედეგს მიაღწია მან ჩვენი სკოლის გაეროვნებულ კლასებში. გაუზვიადებლად შეიძლება ითქვას, რომ მას ამ სერიოზულ და პასუხსაგებ საქმეში აქტიური მონაწილეობა არ მიუღია. მან მხოლოდ გამოსცა ფორმალურ - იურიდიული ბრძანება კლასების გაეროვნების შესახებ, რამოდენიმე ზოგადი დებულება წარუმძღვარა წინ და მით დაკმაყოფილდა. ფაქტიურად კი სხვადასხვა სასწავლებლებში ეს ბრძანება განხორციელდა და ცხოვრებაში გატარდა ისე და იმ სახით, როგორც ეს მოისურვა სასწავლებლების ადმინისტრაციამ. ზოგან არსებითად მდგომარეობა უცვლელი დარჩა: რუსულ, ფრანგულ და გერმანულ ენებს ისევე უცხო ტომის მასწავლებლები ასწავლიდნენ, ზოგან კი ისეთი ქართველები, რომლებსაც თითონ უჭირდათ ქართულად აზროვნება და ლაპარაკი. კერძოდ, ყველასათვის გამოურკვეველი დარჩა, თუ როგორ და რა მაშტაბით უნდა ეწარმოებინათ რუსულ ენის სწავლება. ზოგან ამოკლებდნენ პროგრამას, ზოგან უცვლელად სტოვებდნენ, ზოგან წერაში ძველს ორთოგრაფიას მისდევდნენ, ზოგან კი ახალს. ერთის სიტყვით, საქმის მსვლელობას არ ეტყობოდა წინასწარ აწონილ-დაწონილი და შემუშავებული გეგმა და შეგნებული ხელმძღვანელობა. საქმე კი, უეჭველია, დიდად პასუხსაგები იყო და მოითხოვდა განსაკუთრებულს ყურადღებას.

და აი სწორედ ასეთი განსაკუთრებული ყურადღება არ გამოუჩენია განათლების სამინისტრომ! იმას თითქოს არ აინტერესებდა, თუ ვინ გაუძღვებოდა ადგილობრივ სკოლის გაეროვნების საქმეს, ვინ იყო ამ საქმისთვის მომზადებული და გამოსადეგი. რომ ეს ასე იყო, ამაზედ ცხადად ღაღადებენ სამინისტროს მიერ არჩევა და დანიშვნა სკოლის გამგეობისა და ხელმძღვანელებისა. ჩვენ ამ არჩევნებში არ ვამჩნევთ არავითარ ახალ ცხოვრებასთან და ახალ პედაგოგიურ მოთხოვნილებასთან შეფარდებულ ობიექტიურ პრინციპს, არავითარ ეროვნულ და სახელმწიფოებრივ კრიტერიუმს. სკოლის გაეროვნების საქმე, მისი ცოცხლად, ხალისიანად, გატაცებით და შეგნებულად განხორციელება ისეთ პირების ხელში, რომლებიც მთელის თავის წარსულ მოღვაწეობით, რწმენით, მიმართულებით და ქართულის ცოდნით სრულებით არ იყვნენ ამ საქმისთვის მომზადებულნი, ერთგვარი გაუგებრობაა, მეტი რომ არა ითქვას-რა!

ამასაც ნუ გამოვუდგებით. ვსთქვათ, ამ საქმეში პირადის ანტიპატია-სიმპატიის, ნაცნობობა-მეგობრობის პრინციპით არ ხელმძღვანელობდა სამინისტრო და ზოგი დირექტორი მექანიკურად შერჩა სკოლას, ზოგიც მექანიკურად იქმნა დანიშნული. მაგრამ რითი უნდა იმართლოს თავი სამინისტრომ, როდესაც მან გაეროვნებული კლასები თბილისში და სხვაგანაც მით უმეტეს მთელი წლის განმავლობაში უყურადღებოდ დასტოვა? ფაქტია, რომ სამინისტროს ამ საქმეში არამცთუ ცოცხალი, ხალისიანი და აქტიური ხელმძღვანელობა და კანტროლი არ გაუწევია, ზოგიერთ სასწავლებელში ერთხელაც არ შეუხედნია, თუ გნებავთ ძველებურ ფორმალურ რევიზიის სახით, არც ერთს მის მიერ არჩეულ და უფლებამოსილ პირს. ეს, რასაკვირველია, მას არ მოსვლია სკოლის ავტონომიის მეტისმეტი პატივისცემით და მასწავლებელთა კორპორაციის უსაზღვრო ნდობით. ეს იყო შედეგი ან მოუცლელობისა, ან უყურადღებობისა, ან და ეროვნულ-სახელმწიფოებრივ პერსპექტივების გამოურკვევლობისა. სამივე შემთხვევაშიაც, მგონი, ეს ფაქტი არ არის მოსაწონი და გასამართლებელი.

მაგალითად, რა იქნებოდა, რომ სამინისტროს დროებით, ერთი წლით მაინც, დაენიშნა საგანგებოდ დახელოვნებული და მომზადებული ინსტრუქტორი ან ინსპექტორი და მას დავალებოდა გაეროვნების საქმის გაძღოლა და ხელმძღვანელობა საქართველოს ყველა კუთხეში! დარწმუნებული ვართ, ამ პირის მუშაობა და მოქმედება, თუ კი მისი არჩევანი ნორმალურად მოხდებოდა, უფრო მეტს სარგებლობას მოუტანდა ქართულ სკოლას, ვინემ ფორმალურ-კანცელიარული მოღვაწეობა სამინისტროს მრავალრიცხოვან მოხელეებისა.

იპ. ვართაგავა.

## ქართული საკონსულოები უკრაინაში

ქართული დიპლომატიური მისია უკრაინაში განაგრძობს მუშაობას კიევში. ბოლშევიკთა მოსვლის შემდეგაც საკონსულოში არავითარი ცვლილება არ მოხდა. საქართველოს წარმომადგენელი უკრაინაში ვ. თევზაია კიევში დარჩა.

მ. სკობოლიევის გარდა, რომელიც უკანასკნელ დროს ითვლებოდა მისიის ეკონომიურ მრჩევლად და რომელიც ბაქოში გაემგზავრა, კიევიდან გაემგზავრა ოდესაში მისიაში მ ყოფი სამხედრო ატაშე კაპ. სვანიძე. საქონლის გაცვლის ხელშეკრულება, რომელიც მოხდენილ იქმნა მისიის მიერ ძველ მთავრობასთან, ბოლშევიკების მიერ ავტომატიურად გაუქმებულია, რის გამოც ვერ მოხერხდა ხერსონიდან საქართველოს მიერ უკრაინაში ნაყიდ პურის გამოტანა.

ურთი-ერთობა, რომელიც შექმნილი იყო—საბჭოთა მთავრობის წარმომადგენლებს რაკოვსკის და მანუილკის ჩვენ წარმომადგენელ ვ. ვ. თევზაიასთან არ იღებდა მხედველობაში არავითარ ბოლშევიკურ მოქმედებას ჩვენი მისიისადმი კიევში.

—

ქართული საკონსულო ოდესაში განაგრძობს მუშაობას ძველებურად. ვიცე-კონსული გამოემგზავრა საქმისთვის ოდესიდან და ჩამოვიდა თბილისში. კონსული ო. უშვერიძე დარჩა ოდესაში. ამას წინად ის მიღებული იყო ინგლისის და საფრანგეთის სარდლობის წარმომადგენლისგან, რომელთაც მოახსენა მადლობა ქართველ ქვეშევრდომთა ინტერესების დაცვისთვის, მოხალისეთა წინაალმდეგ. ე. ი. უშვერიძემ ჰკითხა აგრეთვე მათ აზრი საქონლის გაცვლის შესახებ და სთხოვა დახმარება სწორე რელსების აღდგენისა შავის ზღვის და საქართველოს პორტთა შორის.

## ქართული მისია რუმინეთში

კიევიდან ბუქარესტში გამგზავრებული ქართული მისია ასათიანის მეთაურობით შეუდგა საქართველოს მდგომარეობის გაცნობას.

ამას წინად ოდესაში ჩამოსულ მისიის მდივანმა კარპოვიჩმა გამოაცხადა, რომ ამ ჟამად მისია სწყეტს რუმინეთის და საქართველოს შორის საქონლის გაცვლა-გამოცვლის საკითხს.

## დამფუძნებელი კრების ქრონიკა.

**ქალაქებში დაუსახლებელ მიწების შესახებ.**

იურიდიულ და აგრარულ კომისიის შეერთებულ სხდომამ, ქალაქებში დაუსახლებელ მიწების საკუთრებად გადაცემის შესახებ, შემდეგი დადგენილება მიიღო:

1. დროებით აიკრძალოს ქალაქის ფარგლებში მდებარე დაუსახლებელ მიწების სხვაზე კერძო საკუთრებად გადაცემა, დაგირავება და აგრეთვე იჯარით გაცემა ერთი წლის ზევით ვადით, დღიდან ამ დეკრეტის მიღებისა.

**შენიშვნა 1.** დაუსახლებელ მიწად, რომელიც ამ შეზღუდვისაგან თავისუფალია, ითვლება ყოველი მიწა, რომელზედაც ამ დეკრეტის გამოცემამდე სახლი, ქარხანა ან სხვა შენობა იმყოფებოდა, და მიწა ამ შენობის გარშემო არა უმეტეს ერთი დესეტინისა.

**შენიშვნა 2:** ყველა ის ხელშეკრულება, რომელიც ამ დეკრეტის გამოცემამდე ან შემდეგ არის შემდგარი და ეხება აღნიშნულ მიწების იჯარით გაცემას ერთ წელზე მეტის ვადით, ძალას კარგავს ერთი წლის განვლისათანავე, დღიდან ამ დეკრეტის მიღებისა დამფუძნებელ კრების მიერ.

ეს დეკრეტი წარედგინება განსახილველად და დასამტკიცებლად დამფუძნებელ კრების პირველსავე სხდომას.

# ქრონიკა

**ჩვენი გაზეთის თბილისის ხელისმომწერლების საყურადღებოდ.** გაზეთის დამტარებლებისაგან ჩვენთვის მიუღებელ პირობათა წარმოდგენის გამო, თბილისის ხელის მომწერთ გაზეთი გაეგზავნებათ ფოსტით. ნომრების წაღება შეიძლება აგრეთვე დაბეჭდის საღამოს სტამბაში (გაბაშვილის შესახვევი, სტამბა კალანდაძესი), ხოლო მეორე დღეს და შემდეგ „საქართველო“-ს რედაქციაში (სასახლის ქუჩა № 5).

**ყარსის დაცლა** გაზეთ „ქოლვორდი ძაინს“ სარწმუნო წყაროებიდან ატყობინებენ რომ ოსმალთა ჯარი ყარსიდან საბოლოვოდ გავიდა. უკანასკნელ სამი დღის განმავლობაში ინგლისელებმა ყარსში დიდ-ძალი ჯარი და სურსათი გაგზავნეს.

**დამფ. კრების ხაბიბლიოთეკო კომისიაში.** დამფუძნებელ კრების საბიბლიოთეკო კომისიამ იყიდა გერტმანის ბიბლიოთეკა, რომელშიაც 15000 ტომია, ფილოსოფიურ, ეკონომიურ და ისტორიულ დარგებისა. ამ დღეებში იგივე კომისია აპირობს დუბროვის სამკითხველოს ყიდვას.

**ქალაქის გამგეობის უფროსი კანტროლიორი.** ქალაქის გამგეობის უფროს კანტროლიორად ქალაქის საბჭომ ი. პეტროკოვსკი დანიშნა. პეტროკოვსკი აქამდეც ამავე თანამდებობაზე მსახურებდა. მან ქართული არ იცის.

**დადიშკელიანის მკვლელობა.** ხუთშაბათს, აპრილის 10, ღამის 1-ლ საათზე, გოლოვინის პრ. კაპ. ი. მახარაძემ რევოლვერით მოჰკლა ჩაფხან დადიშკელიანი. საქმე ასე იყო: აღნიშნულ საღამოს მახარაძე ქართულ კლუბში ნაცნობ ქალთან დასეირნობდა. მათთან მივიდა მათთვის უცნობი ჩ. დადიშკელიანი და ქალს შეხებით შეურაცხყოფა მიაყენა. კაპიტანმა შენიშნა, უწესოებისათვის თავი დაენებებინა, მაგრამ მუნჯმა დადიშკელიანმა მასაც ხელი ჰკრა. მორიგი მამასახლისის და ზოგიერთ ნაცნობების დახმარებით დადიშკელიანი დააწყნარეს და გარედ გამოიყვანეს, მაგრამ ის მაინც არ სცხრებოდა და კაპიტან მახარაძეს უცდიდა... ვახშმობის შემდეგ, როდესაც კაპიტანი მახარაძე თავის ამხანაგ ოფიცერ გ. ჯორჯაძესთან ერთად სახლში ბრუნდებოდა, მორიგ მამასახლისმა დაჟინებით ჰსთხოვა, რომ მას თან კლუბის შეიარაღებული მცველნი გაეყოლებინა, რადგანაც დადიშკელიანი გარედ გიცდით და ხიფათი აუცილებელიაო. მახარაძემ ამაზე უარი განაცხადა და ჯორჯაძესთან ერთად გოლოვინის პროსპ. სახლში წავიდა. „ლადია არგონავტოვის“ წინ ამხანაგებით მდგარი ჩ. დადიშკელიანი ყვირილით გადახტა და ალბად შეცდომით სილა ჯორჯაძეს გაარტყა; ჯორჯაძემ ხმლით მოინდომა პასუხის გაცემა; დადიშკელიანმა არ აცალა და იძრო მაუზერი, მაგრამ კაპიტანმა მახარაძემ დაასწრო და პარაბელიუმის ერთი ტყვიით დადიშქელიანი თავში დასჭრა. დადიშქელიანის ამხანაგები გაიფანტნენ. მახარაძემ ავტომობილი მოიყვანა, დაჭრილი შიგ ჩასვა და რამდენიმე შემთხვევითი მგზავრებით საავადმყოფოში გაგზავნა; თვით კი წავიდა მეორე კომისარიატში, საიდანაც საკომენდანტოში გაგზავნეს. დაჭრილი დადიშქელიანი იმ ღამესვე გარდაიცვალა.

**აკრეფილ ჯარიმის შესახებ.** სახელმწიფო კანტროლი ატყობინებს შინაგან საქმეთა მინისტრს, რომ რევიზიის შემდეგ გამოირკვა რომ აკრეფილი ჯარიმა მილიციის გამგეობას შეჰქონდა ქალაქის კასაში, და არა სახელმწიფო ხაზინაში. ასეთი ჯარიმის რაოდენობა უდრის 81,000 მ. კანტროლი სთხოვს მინისტრს განკარგულება მოახდინოს ხსენებული თანხა ქალაქის კასიდან სახელმწიფო ხაზინაში გადაიტანონ, და რომ აწ არ ხდებოდეს ასეთი გაუგებრობა.

**ბერძენთა შუამდგომლობა.** ბერძენთა ეროვნულ საბჭომ შუამდგომლობა აღძრა შინაგან საქმეთა მინისტრის წინაშე, რომ ბერძნებით დასახლებულ ადგილებში კომისრებად ბერძნები ინიშნებოდნენ. მინისტრმა ბერძენთა ეროვნულ საბჭოს შუამდგომლობა დააკმაყოფილა და განკარგულება ადმინისტრაციის ინსპექტორს გადასცა.

## განათლების სამინისტროში

**მოსწავლეთა დათხოვნა.** სახალხო განათლების სამინისტროს საბჭომ დაადგინა: აღდგომის დღესასწაულისათვის დაითხოვონ მოსწავლეები 12 აპრილს გაკვეთილების შემდეგ. ნაადგომებს სწავლა განახლდება 28 აპრილს.

**მასწავლებელთა პენსიისათვის.** განათლების სამინისტროში შედის თხოვნები იმ მასწავლებელთა რომელნიც მსახურობდენ საქართველოს ტერიტორიის გარედ. ისინი თხოულობენ სათანადო პენსიის დანიშვნას. ამისათვის შესდგა განსაკუთრებული კომისია, რომელმაც უნდა გამოარკვიოს საკითხი მიეცეს თუ არა მათ პენსია.

**თავდასხმა.** 10 აპრილს საღამოს 9 საათზე პუშკინის ქუჩაზე მიმავალ გრადსკის დახვდა რამოდენიმე შეიარაღებული პირი და სიკვდილის მუქარით 4,000 მან. წაართვეს.

**თავდასხმა.** 10 აპრილს ღამის 10 საათზე ელისაბედის ქუჩაზე № 33 ექიმ სიმხოვიჩის ბინაზე შეიჭრა რამოდენიმე შეიარაღებული პირი და სიკვდილის მუქარით. 30,000 მან. და სხვა ძვირფასი ნივთები წაართვეს. გარედ გამოსვლის დროს ასტყდა სროლა. რომლის დროსაც მოკლულ იქმნა მილიციონერი მესტიაშვილი დასჭრეს მილიციონერი მირაქოვი საიდან მოხვდნენ მილიციონერები აქ გამოურკვეველია. ისინი იმ ქუჩაზე არ დარაჯობდენ.

**ყაჩაღობა გორის მაზრაში.** გორის მაზრიდან თხოვნები მოდის, რომ მაზრა შეწუხებულია ყაჩაღთა ბრბოებით. ითხოვენ შველას. საქმის ადგილობრივ გასაცნობად ამ დღეებში გორში მიემგზავრება ადმინისტრაციის ინსპექტორი.

**პროფესიონალურ ორგანიზაციათა წარმომად. ყრილობა.** გუშინ 11 აპრილს სახალხო სახლში გაიხსნა ამიერ-კავკასიის პროფესიონალურ ორგანიზაციათა წარმომადგენლების მეორე ყრილობა.

## კ რ ე ბ ე ბ ი

**მასწავლებელთა კრება.** კვირას 13 აპრილს თბილისის ქალთა 2 სასწავლებელში შესდგება საზოგადო კრება აღმოსავლეთ საქართველოს საშუალო სასწავლებელთა მასწავლებლებისა. კრების საგანია: 1) მიმდინარე მომენტი, 2) გამგეობის მოხსენება, 3) მოხსენება საშუალო სკოლის რეორგანიზაციის შესახებ.

**სამეურნეო ბანკის წევრთა კრება.** ამავე დღეს სამეურნეო ბანკში დანიშნული წევრთა საერთო კრება.

## სამხატვრო ქრონიკა.

— **ქართველ მხატვართა გამოფენა.** აპრილის დამლევს „დიდების ტაძარში“ ქართველ მხატვართა საზოგადოების მიერ გაიმართება თანამედროვე ქართულ მხატვრობისა და ქანდაკების გამოფენა. საზოგადოება მოუწოდებს ყველა ქართველ მხატვრებს მიიღონ მონაწილეობა განზრახულ გამოფენაში. გამოფენის პირობები: 1) სურათები მიიღება 22 აპრილამდე, 2) სურათები უნდა გამოიგზავნოს მისამართით: თბილისი, გოლოვინის პროს. სახლი № 13, „დიდების ტაძარი“, ქართველ მხატვართა საზოგადოების სახელზე. სურათები მიიღება ყოველ დღე, საღამოს 4—7 საათამდე, კვირა-უქმე დღეს კი დილის 11—2 საათამდე. თბილისს გარედ მცხოვრებ მხატვრებს შეუძლიათ სურათები ფოსტით გამოგზავნონ, 3) სურათი უნდა იყვეს მოთავსებული ჩარჩოში, და საზოგადოდ უნდა ჰქონდეს გარეგნული წესიერი სახე. 4) სურათის ზურგზე უთუოდ უნდა იყვეს აღნიშნული მხატვრის სახელი, გვარი და მისამართი, სურათის სახელწოდება, წელიწადი სურათის დახატვისა და მისი ფასი. 5) საზოგადოების სახელზე უნდა გამოიგზავნოს დაზღვეული ბარათი, სურათების რიცხვის, სახელწოდების, თითეულ სურათის ფასის და სხვა ცნობების აღნიშვნით. 6) თანახმად ქართ. მხატვ. საზოგ. წესდებისა გაყიდულ სურათების თანხის 10 პროც. გადითვლება საზოგადოების სასარგებლოდ.

— **ქართულ ხელოვნების წარმომადგენელთა კრება.** შაბათს, 11 აპრილს, დღის 2 საათზე, მსახიობთა კავშირის ბინაზე დანიშნულია კრება ქართულ ხელოვნების წარმომადგენელთა. კრების საგანია მხატვრული ცენტრის შექმნა. მოწვეულნი არიან ყველა არსებული სამხატვრო საზოგადოებათა გამგეობანი.

— **გაზეთ „საქართველოს“ საღამო.** 12 აპრილს გაზეთი „საქართველო“ მართავს დიდ საღამო-კონცერტს. მონაწილეობენ: ვოლლევიცკაია, სპანიოლი, ჰარტმანი, ი. სარაჯიშვილი, ინაშვილი, კაპელნიცკი. ქართულ სამუსიკო საზოგადოების კვარტეტი ფიშერგი, ბელსკი, მელამედ ბენედიცკი. საბალეტო დივერტისმენტი თ-დ ბეგთაბეგიშვილის ხელმძღვანელობით. მონაწილეობენ: ლასკარი, სემიონოვა, კუზნეცოვი, ბეგთაბეგიშვილი და რესნერი. კონცერტის შემდეგ დიდი ნადიმი. საღამოს დიასახლისია ნინა გვაზავა.

— **ტიციან ტაბიძის პოეზიის საღამო.** 17 აპრილს კონსერვატორიის დარბაზში გაიმართება ტიციან ტაბიძის პოეზიის საღამო. გერონტი ქიქოძე წაიკითხავს მოხსენებას „ახალი ქართული პოეზია“. ტიციან ტაბიძის პოეზიაზე სიტყვებს წარმოსთქვამენ: გრიგოლ რობაქიძე, პაოლო იაშვილი, ილია ზდანევიჩი, ალ. არსენიშვილი, სერგი გოროდეცკი. სალიტერატურო განყოფილებაში მონაწილეობენ: გრიგოლ რობაქიძე, პაოლო იაშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი, ილია ზდანევიჩი, გ. ტაბიძე, ლელი ჯაფარიძე, შალვა ამირეჯიბი, კოლაუ ნადირაძე, სანდრო ყანჩელი, შოთა დადიანი, გ. ლეონიძე, ნ. მიწიშვილი, ყარა-დერვიში, სერგეი რაფალოვიჩი, დ. კაპალი, ალექსანდრე ჩაჩიკაშვილი და სხვ. თავის ახალ ლექსებს წაიკითხავს ტიციან ტაბიძე, წაკითხული იქნება აგრეთვე მისი ლექსების რუსული თარგმანები. ბილეთები იყიდება კონსერვატორიის კასაში და ქართულ საჩაიეში.

# ქალაქის საბჭო

**10 აპრილის სხდომა.**

**თავმჯდომარეობს ლომთათიძე.**

**გაფიცვის შესახებ.**

მომხსენებელია ქალაქის მოურავი **ბ. ხნიკვიშვილი**: მოხსენებიდან შემდეგი სჩანს: გაფიცულებს მას შემდეგ, რაც მუშათა საბჭომ გაჰკიცხა მათი მოქმედება, გაფიცულთა დელეგატთა ყრილობას, რომელზედაც ქალაქის თავიც მიუწვევიათ. მოუთხოვიათ, დაჭერილ ამხანაგების განთავისუფლება, რაც შეუსრულებელი დარჩენილა. ქალაქის გამგეობას, ცოტათი გადაუხვევია საბჭოს დადგენილებისთვის და გაუგრძელებია მაგალითად ვადა, გაფიცულთათვის ხელ-ახალი თხოვნების შესატანად მაგრამ საბჭოს დადგენილების არსებითი მხარე კი არ შეუცვლია. ქალაქის საბჭოს დადგენილება თითქმის განხორციელდა ძველი მუშა - მოსამსახურენი დათხოვნილი არიან და ახალი შტატიც თითქმის შემდგარია. როდესაც გაფიცულებმა შეატყვეს, რომ საბჭო თავის დადგენილებას ბოლომდე ანხორციელებდა ათას გვარ ხრიკებს მიმართეს. ემუქრებოდენ ახალ შტატს. საავადმყოფოების მოსამსახურეებმა გაახშირეს ავადმყოფების მიღება უნდოდათ რომ საავადმყოფო გაევსოთ ავადმყოფებით და ისე დაეტოვებინათ. გამგეობას ეს აუკრძალავს.

ერთი სიტყვით გაფიცვის საქმე თითქმის დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს ამ ორ დღეში ძველ შტატს ახალი შტატი შესცვლის.

**პ. გოთუა.** მოქალაქენო! ექიმებისა და მასწავლებლების გაფიცვა ყველაზედ სამწუხარო მოვლენა იყო. ექიმების გაფიცვა ავლაბარში, სადაც ბუდეა დაშნაკელებისა ლოღიკური დასკვნაა მათი წინა მოქმედებისა. რაც შეეხება მასწავლებელთა გაფიცვას, არც ესაა მოკლებული იმავე დაშნაკურ სულს.

ჩვენ გამგეობას სულ 25 რუსული სკოლა აქვს. მოსწავლეთა რიცხვი კი ყველგან ძლიერ მცირეა. ამიტომ ურიგო არ იქნებოდა ჩემის აზრით ზოგიერთი სკოლა დროებით დაგვეხურა და მისი მოსწავლენი სხვა სკოლებში გადაგვეყვანა. ეს ჩვენ ხარჯებსაც შეამცირებდა.

რაც შეეხება გაფიცვის დაბოლოვებას ჩვენ სიხარულს გამოვსთქვამთ, რომ საბჭომ თავისი დადგენილება ბოლომდე მიიყვანა. და გასწმინდა დაწესებულებანი იმ პირთაგან, რომელნიც პირდაპირი მტრები იყვნენ ჩვენი რესპუბლიკისა.

**გველესიანი.** გამოსარკვევია აზრი, რომ გაფიცულებზე გამოცემული კანონი არ გავრცელდეს მასწავლებლებზე და ისინი მიღებულ იქმნან უკანვე კოლექტიურად.

**გომართელი.** ექიმების დანაშაული ისეთია, რომ მისი ასე მიჩუმება შეუძლებელია. მათ გაფიცვა გამოაცხადეს დასტოვეს უმწეოდ ავადმყოფები, დღეს კი ჩვენ ვხედავთ რომ ისინი უკან არ იხევენ და კოლექტიურად მიდიან. მათ უღალატეს იმ ფიცს, რომელსაც ყოველი ექიმი სდებს უნივერსიტეტის კარებიდან გამოსვლისას. ამისათვის ისინი ყველანი პასუხისგებაში უნდა იქმნენ მიცემულნი. რაც შეეხება მასწავლებლებზე არ ვრცელდებოდეს ჩვენი დადგენილებაო ეს შეუძლებელია. კანონი ყველასათვის ერთია.

წინადადება შემოდის—ცნობად იქმნას მიღებული გამგეობის მოხსენება და დაევალოს გამგეობას ბოლომდე მიიყვანოს საბჭოს დადგენილება.

კენჭის ყრით წინადადება მიღებულია.

**სასაკლაოზე დახოცილ საქონელზე ტარიფის გადიდების შესახებ**

მომხსენებელია გამგეობის წევრი ბესელიძე. ჩვენ თუ ძველი ტარიფი დავტოვეთ სასაკლაოზე, დიდ დეფიციტს მივიღებთ, ამიტომ ჩვენ განვიზრახეთ ტარიფის გადიდება.

სასაკლაოს ხარჯები 1918 წ. უდრიდა 955,000 მან. 1919 წლის ხარჯთაღრიცხვა კი გვაჩვენებს, რომ ხარჯები იქნება 2,493,306 მან. ე. ი. 6 ჯერ გაიზრდება შარშანდელი ხარჯი. ამას კი ვერაფრით ვერ დავფარავთ თუ ტარიფი არ მოუმატეთ. თუ ძველი ტარიფი დავტოვეთ ჩვენ ვიზარალებთ დაახლოებით 1.000.000 მან. უნდა მოემატოს შემდეგ ნაირად: მსხვილფეხა საქონლებზე ტარიფი უნდა დაწესდეს 21 მანეთი. საქონლის საშუალო წონაზე რომ გავყოთ ეს რიცხვი მივიღებთ გირვანქაზე 8, 7 კაპ. მომატებას.

ამით კი შემოსავალი გადიდდება 772,000 მან. წვრილფეხა საქლავზედაც თუ მიუმატებთ ტარიფს დაახლოებით 100 პროც. მივიღებთ მომატებულ შემოსავალს 673,000, ღორებზე სასაკლაო ტარიფის გადიდებიდან მიიღებს 50,700 მ.

ერთი სიტყვით თუ ყველაფერზე ტარიფს მოუმატებთ მოსალოდნელი შემოსავლის გადიდება იქნება 1,768,250 მან. ე. ი. შემოსავალი აღემატება ხარჯს 688,194 მან.

**მდივანი** შიშობს, რომ ეს ცხოვრებას გააძვირებს და ამბობს, რომ მოხერხდებოდეს ქალაქის ღარიბებს ნაწილს ხორცი ნაკლები ნიხრით დაეთმოთ, ჩვენ მაგ ტარიფის მომატების საწინააღმდეგო არაფერი გვექნებაო.

**გოთუა**—მოქალაქენო! პირველად უნდა მოგახსენოთ, რომ მოხსენება ასეთ სერიოზულ საკითხზე ასე მოულოდნელად არ უნდა ხდებოდეს და მოხსენება რამდენიმე დღით წინ უნდა დაეგზავნოთ საბჭოს წევრებს სახლებში.

რაც შეეხება ტარიფის მომატებას—ეს არის პალიატივი და მე დარწმუნებული ვარ, რომ ამით ჩვენ ფონს ვერ გავალთ. ამითი ჩვენ ხარჯებს ვერ დავფარავთ.

საჭირო არის ყურადღება მიექცეს სასაკლაოზე არსებულ წესს. იქ რამდენადაც მე ვიცი ადმინისტრაცია მოიკოჭლებს, სათანადო ნიადაგზე არა სდგას კანტროლი.

გარდა ამისა სასაკლაოზე დიდი სიბინძურეა. თვით სასაკლაოს, რომელიც უკანასკნელი ტეხნიკის კვალობაზეა აგებული და რომლის მზგავსიც ევროპაში თითებზე ჩამოსათვლელია, ვერ უვლიან.

რაც შეეხება საყინულეს, მას უნდა აენაზღაურებინა სასაკლაოს მთელი ხარჯები, მაგრამ გასულ წელს მგონი თავისი საკუთარი ხარჯებიც კი ვერ დაუფარავს.

გარდა ამისა საქმეს დიდად აფერხებს ის, რომ სასაკლაო შორს არის ქალაქზე და ხორცისა და ყინულის გადმოტანა მეტად ძვირი ჯდება, რაც საგრძნობლად აძვირებს ხორცისა და ყინულის ფასს. ამისათვის საჭიროდ მიმაჩნია ხორცის გადმოტანას თვით გამგეობამ მოჰკიდოს ხელი. შეიძინოს საბარგო ავტომობილები და არა კამეჩები, რომელნიც მთელი დღე უნდებიან ხორცის გადმოტანას, და ამგვარად გადმოტანილი ხორცი ჩააბაროს ყასბებს. ამით ჩვენ შეძლება გვექნება ხორცის ფასი საგრძნობლად დავსცეთ.

**გველესიანი**—აღნიშნავს რომ, ნიხრი დაცული არ არის და ამას სათანადო ყურადღება უნდა მიექცესო.

მომხსენებელ ბესელიძის პასუხის შემდეგ მოხსენება დადასტურებული.

**უფროსი კანტროლის არჩევა.**

ასარჩევია გამგეობის უფროსი კანტროლი. (2,000 მან. ჯამაგირით).

ს.-დ. ახალგაზრდ. ი. პეტრიაშვილის, რომელიც ახლა ამავე თანამდებობაზეა.

[illegible]

## ქართ. შორის წერა-კითხვის გამ. საზოგადოებაში

**წლიური კრება**

ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების [illegible] წლიური კრება დანიშნულია მიმდინარე წლის 11 მაისს [illegible]

**საზოგადოების ბალანსი.**

[illegible] 1919 წლის 1 იანვრისთვის უდრის 830363 მ. 47 კაპ.

[illegible]

**საქართველოს კალენდარი.**

[illegible]

ლი საგულისხმო სალიტერატურო და [illegible] მასალა [illegible]

## ჩრდილო-კავკასია

**მთიელთა კავშირის საბჭოს მარტის 12-ის დადგენილება.**

[illegible]

1. ჩრდილო-კავკასიის [illegible]

2. ამ ფაქტში, რომ [illegible] თავისი შეხედულების თანახმად მთიელთა საზოგადოებათა მმართველობის დანიშვნის უფლება, უფლება იარაღის აყრისა, ბოლშევიკების დროს დანგრეულ სტანიცების სასარგებლოდ გადასახადების აკრეფის უფლება და სხვა მრავალი, ჩვენ ვხედავთ ერთა თვითგამორკვევის წინააღმდეგ წასვლას და სურვილს ძველი რუსეთის აღდგენისას, რაც ჩვენგან სურს დაიწყოს.

ამისათვის გამოეცხადოს დიდ სახელმწიფოთა, რუსეთის ნანგრევებზე აგებულ პატარა რესპუბლიკებისა და მთელი ქვეყნის დემონსტრაციის წინაშე—მოხალისეთა უხეშ ძალდატანებას სასტიკი პროტესტი.

3. მიენდოს მთიელთა მთავრობას მიიღოს სასწრაფო ზომები და თუ მთავრობის თავმჯდომარის მოლაპარაკებაც არ მიგვიყვანს სასურველ შედეგამდე, ჩვენი მთავრობის მოხალისეთა ჯარისაგან თავდასაცავად მოახდინოს ყველა ძალთა და საშუალებათა მობილიზაცია.

4. ამოირჩეს საბჭოს წევრთაგან 3 კაცისაგან შემდგარი თავდაცვის კომისია.

კავშირის საბჭოს სახელით მიემართოს ყველა მოქალაქეს ვისთვისაც ძვირფასია ეს თავისუფლება ჩაეწეროს „მთიელთა საპატიო მილიციაში" და ამით ხელი შეუწყოს ჩვენ სამშობლოზე მოგროვილ შავლრუბელთა გაფანტვას.

**კავშირის საბჭოს პრეზიდიუმი.**

მთიელთა კავშირის მარტის 26 პარლამენტის სხდომაზე ამოირჩიეს თავმჯდომარედ: ყაფლანოვი, მის ამხანაგად ხან მაჰმედოვი, მდივნებად: აზხაცოვი და ომარ-ყადი. ამავე დღეს თავდაცვის კომისიაც ამოირჩიეს.

**ლიახოვის ბრძანება ოსების მიმართ.**

გიბრძანებთ 1) ეხლავე აირჩიოთ ბოლშევიკების დროს მყოფ კომისართა მაგიერ მამასახლისები.

2. სასწრაფოდ გადააყენეთ ძველი კომისრები და მათ მოღვაწეობაზე ეცნობოს სამხედრო-გამომძიებელ კომისიას.

3. ვისაც შეემჩნევა ბოლშევიკთა დამალვა ან მფარველობა სამხედრო-საველე სასამართლოში იქნება მიცემული.

4. ეს ბრძანება ეცნობოს სრულიად ოსეთის მოსახლეობას.

5. ამ ბრძანების ასასრულებლად ვადად ვიძლევი მხოლოდ სამ დღეს.

# ყუბანი

**დენიკინის ბრძანება**

სამხრეთ - რუსეთის შეიარაღებულ მხედრობის მთავარ სარდლის ბრძანება. ეკატერინოდარი, 1919 წლის, მარტის 18.

„მეტი მოთმენა აღარ შეიძლება: ქალაქები, სოფლები და სტანიცები სავსეა დეზერტირებით იმ დროს, როცა ჩვენი ლაშქარი სისხლით იცლება უსწორო ბრძოლაში, რომელიც იქნებ უკანასკნელიც იყოს.

მთავარ ბანაკის კომენდანტს და მეციხოვნეთა უფროსებს უბრძანებ გადასინჯონ საბუთები, მოაწყონ ჩხრეკა-დაპატიმრება და ძირში მოსპონ ასეთი ელემენტები.

იმავე დროს დააწესეთ საველე სასამართლოები, რათა საშუალება მოგვეცეს სასწრაფო გასამართლებისა და დასჯისა.

ხელს აწერს გენერალ-ლეიტენანტი

დენიკინი


## ქართულ კლუბის დარბაზებში

შაბათი, აპრილის 12

# „საქართველოს"

რედაქციის

# დიდი საღამო-კონცერტი

**კონცერტი** ქ-ნნი: ვოლ-ლევიცკაია, სპანიოლი, გარტმანი. ბ-ნნი: სარაჯიშვილი (ტენორი), ინაშვილი (ბარიტონი), კაპელნიცკი (ვიოლონჩელი).

ქართულ სამუსიკო საზოგადოების კვარტეტი: ფიშბერგი, ბელსკი, მელამედ ბენდიცკი.

**საბ ლოტო დივერტისმენტი**

თ-დ ბექთაბეგიშვილის ხელმძღვანელობით: ლასკარი, სემიონოვა, კუზნეცოვი, გრუონცი, ბეგთაბეგიშვილი და რესნერი.

კონცერტის შემდეგ

## ცეკვა და დიდი ნადიმი

დარჩენილი ბილეთები—თეატრის კასაში.

სუფრაზე ჩაწერა საღამოს დიასახლისთან ტელეფონი № 6--83.

საღამოს დიასახლისი ნ. ლ. გვაზავა.


# გერმანეთის ეკონომიური პერსპექტივები

ბერლინის „ბირჟის შათირი" გვიხატავს გერმანეთის ახლობელ ეკონომიურ პერსპექტივას:

გერმანეთში სამრეწველო წარმოება შემცირებული იქნება დიდი პროპორციით. განსაკუთრებით მძიმე იქმნება სარკინისგზო წარმოების მდგომარეობა. ფოლადის წარმოება შემცირდება 6 მილიონ ტონამდე, ელზასის და ლიუქსემბურგის დაკარგვის გამო. შემცირდება კიდევ 4 მილიონამდე ლორენის მადნეულობის შემოტანის შეჩერების გამო და კიდევ 3 მილიონამდე შეეციიდგან ნედლი მასალის შემოზიდვის შემცირების გამო. კიდევაც რომ დაუშვათ, რომ ესპანეთი და ევროპის გარეშე ქვეყნები განაგრძობენ შემოტანას, საერთო წარმოება ფოლადისა დაეცემა 19 დან 6 ან 7 მილიონ ტონამდე.

სარკინიგზო მრეწველობის დაცემა გავლენას იქონიებს თავის მხრივ, სხვაგვარ წარმოებაზედაც.

ქაღალდის წარმოება, ხიმიკური და ელექტრო - ტეხნიკური დარჩენილია უნედლ მასალოთ; საწყობნი ცარიელია, კრედიტი მკვდარია. გერმანეთის მრეწველობა დაცემულია თითქმის ნახევარზე და თავის დღეში აღარ მიაღწევს 1913—1914 წ.წ. სარეკორდო წლების ციფრებს. ქარხნების და ხურვა გარედ დაარჩენს 7 დან 8 მილიონამდე მუშებს და ამ გვარად უსახსროდ დასტოვებს ოც მილიონ სულს. ამ გვარად გერმანიას არ შეეძლება სამრეწველო ნაწარმოებთა გაზიდვა და იძულებული შეიქნება მუშათა ემიგრაციის. ეს ძალდატანებითი ემიგრაცია, დაბრუნება ელზასისა და ლორენისა და შეერთება აღმოსავლეთ პროვინციებისა პოლონეთთან, დაბოლოს—სამხედრო დანაკარგი—გამოიწვევს მცხოვრებლების შემცირებას და გადასახადთა გადიდებას რომელიც იქნება განაწილებული დარჩენილ მცხოვრებლებზე. ამგვარად საჭირო ხდება მთავრობისთვის კაპიტალის გასვლის შეჩერება. ამ მოვლენის წინააღმდეგ რევოლიუციონურ მთავრობამ 15 იანვრის დეკრეტათ მიიღო დრაკონიული ზომები. სპეციალური გაფრთხილებაა მიღებული რათა არ დაიმალოს ქონება დაზღვევის სახით და სასიცოცხლო რენტა რომლისთვისაც ერთდროული ფულის შეტანაა საჭირო, რადგანაც აშკარა ხდება, რომ რამდენათაც საჭიროა სახელმწიფოსთვის ემიგრაციის შეჩერება და კაპიტალთა დამალვა მით, უფრო კაპიტალისტთა ხერხები განვითარდება, გადასახადთა გადიდების გამო.

# დეპეშები

(საქ. დეპ. სააგენტო).

10 აპრილი.

## ბოლშევიკური ცნობები

**კიევი.** ოდესის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეთ აირჩიეს ბოგუნი. ოდესის დაცემამ მუშათა დემონსტრაციები და მიტინგები გამოიწვია. საზეიმო სხდომა უკრაინის ც. ა. კ. დიდი მიტინგით დასრულდა. 7 აპრილს გაიხსნა რევოლიუციონური ტრიბუნალის სესია. პირველათ მოისმინეს ფელდმარშალ ვისგორნის მკვლელის საქმე. რევოლიუციონურ ტერორისტის დონსკოის ლინიკის გარდა მკვლელობაში ბრალი ედება ლუკიანოვსკის ციხის უფროსის თანაშემწეს ხაბაზნიაკს. ციხის ზედამხედველმა ბოროვჩუკმა, პეჩენმა და კრუპსკიმ დამალვა მოასწრეს. დირექტორიამ გამოარკვია, რომ დონსკოი დღე დაუხჩვიათ. წამებაში მონაწილეობა მიუღიათ ჯალათებს ლინიგს, ბოროსტიუკს, პეჩენის და სხვა დამნაშავებს. გამოირკვა რომ ადგილი ქონდა ძალადობას და ელექტრონის მავთულით დასჯას. საბრალმდებელო აქტში აღნიშნულია, რომ ბოლშევიკის მოკლაში უნდა 11 მანეთი გადაეხადოს, დაჭრისათვის კი 6 მანეთი. ჯალათ ლინიკის მეტმა დანაშაულობაში არავინ გამოტყდა. ჯალათ ლინიკს, ბორჩუკს და გერმანელ კონტრ-მზვერავის უფროს ლებნინს დახვრეტა გადაუწყვიტეს. პეჩენინი და კრუპსკი კანონ გარეშე გამოაცხადეს. დიტნერს ვაგნეს და გოლეიტს დახრეტა გადაუწყვიტეს. კაბაზნიას 5 წლის საზოგადო სამუშაო მიუსაჯეს.

**ბუკოვიდან** იუწყებიან, რომ ჰუნგრეთის რევოლიუციის ზეგავლენით რუმინელ გლეხებში აჯანყება დაიწყო. ბუკოვინაში მყოფი რუმინიის ჯარი აჯანყებულების დაწყნარებაში მონაწილეობის მიღებაზე უარს აცხადებს. რუმინიის სარდლობის ბრძანებით, ისინი ბუკოვინის შუა ადგილებში, რუმინიის სადგურებთან გაჰყავთ. ბუკოვინის რევოლიუციონურ მოძრაობას ხელმძღვანელობენ გალიციის სოციალ-დემოკრატები. აჯანყება კომუნისტურ ლოზუნგებით მიმდინარეობს. სამხედრო საქმეთა სახალხო კომისარმა პოდგოისკიმ ბრძანება გასცა, სადაც წითელ ჯარს სამხედრო ტყვეების ხოცვას უკრძალავს. ბრძანებაში ნათქვამია, რომ თეთრგვარდიელთა შორის მრავალია ძალით გაწვეული, რომელნიც მზად არიან წითელი ჯარის მხარეზე გადმოვიდნენ. ნუ იზამთ მას იმიტომ, რომ კონტრ-რევოლიუციონერები გაავრცელებენ ხმას, წითელ არმიელები არავის არ ინდობენო

**კიევი.** კიევის განსაკუთრებული კომისიის დადგენილებით, დააპატიმრეს და დახვრიტეს ბეილისის პროცესში ცნობილი ვერა ჩებერიაკი. შარშან მან შესძლო გამოეცვალა თავისი წოდება და დეპუტატთა საბჭოს წევრად იყო, მაგრამ გამოაშკარავდა ვინაობა და გამორიცხეს.

**პეტერბურგი.** აპრ. 10. მორიგების თანახმად ფინეთის მოქალაქეთ შეუძლიათ რუსეთის რესპუბლიკის საზღვრებიდან ფინლიანდიაში წასვლა. გუშინ მოვიდა ფინლიანდიიდან, გერმანიიდან გამოქცეული სამხედრო ტყვეების პირველი ეშელონი, რომელიც დანიიდან წითელი ჯვრის შემწეობით ფინეთში იყვნენ გადმოგზავნილი. საზღვაო საქმეების კომისარიატთან არსებულ კომისიამ დაიწყო მდ. სვარის ნაპირებთან დიდი ბოსტნების მოწყობა.

**სამარა.** აპრ. 9. სამარაში პარტიულ საქმეებზე გამოსული უფის კომიტეტის კომუნისტები გადმოგვცემენ, რომ უფაში კოლჩაკის რეჟიმმა გადააჭარბა თეთრ გვარდიელთა სიმკაცრეს. ყველა მუშებს, ვინც საბჭოებში მუშაობდა, ხვრეტენ. უფა მორწყულია მუშათა და გლეხთა სისხლით. მცხოვრებნი, აგრეთვე ბურჟუაზია, სახლებში იმალება. კოლჩაკის რაზმში მხოლოდ აფიცრები არიან. ძალით მოგროვილი გლეხობა იარაღით გარბის და საბჭოთა ჯარის მხარეზე გადადის. იმ დროს, როცა კოლჩაკის შემოტევის დროს ჩვენმა ჯარმა დაიხია. ჩვენ მხარეზე გადმოვიდა 2000 მდე კოლჩაკის ჯარისკაცი.

**ნოვგოროდი.** აპრ. 9. გუბერნიის სამეურნეო განყოფილებამ დაიწყო მეურნეობის საბჭოთა მოწყობა.

**რიგა.** აპრ. 8. ლატიშელთა ჯარის აღმასრულებელმა კომიტეტმა ჰუნგრეთში რადიო გაგზავნა, სადაც მიესალმება ჰუნგრეთში წითელ პროლეტარულ ჯარის შედგენას.

**ბუდაპეშტი.** აპრილის 9. შესდგა წითელ-არმიელთა პარადი, სადაც მონაწილეობას იღებდა ორი ბატალიონი პირველი საერთაშორისო წითელი პოლკისა და მეორე საერთაშორისო წითელი პოლკი გერმანელ-ავსტრიელებისაგან შემდგარი. თავად-ესტერგაზის სასახლეში აღმოაჩინეს ხელოვნების ძვირფასი ნივთები.

**ლიონი.** აპრილის 9. მიუნხენში საბჭოთა მთავრობის დაარსებასთან ერთად საზავო კონფერენციაზე აღიძრა საკითხი გერმანიასთან ორი ზავის შეკვრის შესახებ, ერთი ბერლინთან, მეორე მიუნხენთან.

**მიუნხენი,** აპრ. 9. ბავარიის ცენტრალურმა რევოლიუციონურმა საბჭომ გამოუშვა შემდეგი მოწოდება: პროლეტარიატის დიქტატურის განახორციელება ნამდვილი კომუნისტური წესწყობილება. ყველა მშრომელი საზოგადო ცხოვრებაში მონაწილეობას უნდა იღებდეს. საბჭოების მიერ დანიშნული კომისრები მიიღებენ განსაკუთრებულ რწმუნებულებას, მშრომელი მოხელეთ იწვევენ მიიღონ მონაწილეობა ბავარიის ახალ ცხოვრების საქმეებში. რეაქციონურ გამოსვლების წინააღმდეგ წითელი არმია არსდება. რევოლიუციონური ტრიბუნალი დაუნდობლად ყველას, ვინც საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ იმოქმედებს. ბავარიის რესპუბლიკა შეკრავს რუსეთის და ჰუნგრეთის ხალხთან ძმურ კავშირს. უარს ჰყოფენ ებერტ-შეიდემან-ნოსკეს მთავრობასთან თანამშრომლობას, რადგან ისინი სოციალისტურ დროშით განაგრძობენ იმპერიალისტურ პოლიტიკას. მოწოდება თავდება სიტყვებით: გაუმარჯოს თავისუფალ ბავარიას, გაუმარჯოს საბჭოთა რესპუბლიკას, გაუმარჯოს მთელი ქვეყნის რევოლიუციას.

**კიევი,** აპრილის 10. საბჭოთა ჯარმა სად. ჯანკოვი დაიჭირა. წითელი ჯარი სიმფეროპოლისაკენ იწევს.

**მოსკოვი,** აპრილის 10. რესპუბლიკის რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს ბრძანებით წითელ არმიელებს შეუძლია ატარონ თავისი ტანისამოსი, რომელიც ცოტათ თუ ბევრათ მათ ფორმას შეეფერება.

**ბუხარესტი,** მარტის 30. რუმინიის გენერალურ შტაბის ოფიციალურ ცნობით, რუმინიის ჯარი უსარგებლო სისხლის ღვრის თავიდ-ნ ასაცილებლად ბესარაბიისკენ იხევს. ბოლშევიკები იზმაილ-რენის ხაზისკენ მიიწევენ.

**მოსკოვი,** აპრ. 10. დასაწყისი არაა. მოსკოვის დ პეტროგრადის გამოცდილი მუშები მოეხმარებიან წითელ ჯარს კოლჩაკის დასამარხებლად. კოლჩაკის კონტ-რევოლიუციონური ჯარი უნდა დამარცხდეს. უფა, ზლატოუსტი, ეკატერინბურგი და პერმი მუშა გლეხის რუსეთს უნდა დაუბრუნდეს. ჩელიაბინკსზე გავხსნით გზას ციმბირისაკენ. მუშებო, გლეხებო, რევოლიუციონურ პროლეტარიატი, ამხანაგო კომუნისტებო, წინ!

## ინგლისური პრესა

**თეთრი წიგნი.**

რესპუბლიკანური მთავრობა გამოაქვეყნებს თეთრ წიგნის ყველა საბუთებით, რომელიც დანცინგის საკითხს ეხება.

**გაფიცვა შტუტჰარტში.**

შტუტჰარტში საერთო გაფიცვა მალე დასრულდება და მთავრობა შექმნილ მდგომარეობას კანტროლს უწევს. გაფიცვების მეთაურნი დააპატიმრეს. გაფიცვას განაგრძობენ ქალაქის განათებაზე მომუშავენი, ქალაქის საბჭო ითხოვს ყველა იმას, ვინც ორშაბათამდე არ განაახლებს მუშაობას.

ამერიკის რწმუნებულნი ყოველ დღენეს ხმარობენ, რომ ეს პირები მიიღონ და რუსეთში სურსათი გაგზავნონ, მაგრამ მათმა ცდამ ნაყოფი ვერ გამოიღო, რადგან საფრანგეთი არ თანხმდება. ეს არის მთავარი მიზეზი, რომ პრეზიდენტმა ვილსონმა წარადგინა ულტიმატუმი, რომ თუ 10 უახლოეს დღეში ზავი არ შეიკრა, ის ამერიკაში წავა.

ინგლისი განაგრძობს იმის მტკიცებას, რომ ფაქტიურად ზავი უკვე შეკრულია. დღეს, გაზეთები ოფიციალურად იუწყებიან, რომ რთულ საკითხების ზოგიერთ წვრილმანების შესახებ შეთანხმება მოხდა და პრინციპიალური უთანხმოება აღარ არსებობს. მთელი კაცობრიობის საღი აზროვნება მიესალმება ზავს, თუმცა ერთის მხრით იგი იმედს უცრუებს რეაქციონერებს და მეორეს მხრით [illegible]კებს. ფიქრობენ, რომ [illegible] გადასწყვიტოს ხალხთა ლიგამ. ხმებია, რომ ხელშეკრულება ისეთი არ იქნება, როგორც უწინდელი ხელშეკრულებები და უფრო დაემსგავსება ამერიკის კონსტიტუციას, რომლის შეცვლაც შეიძლება, თუ ეს მოინდომა ხელშეკრულების მომწერთა ორმა მესამედმა.

**ვილსონის 14 პუნქტი**

მიუხედვათ იმისა, რომ ინგლისის და საფრანგეთის წყაროები იმ აზრის არიან, რომ ზავის პირობები გამორკვეულია და თითქმის დასრულებული, ნახევრათ ოფიციალური ცნობაა, რომ ვილსონს თავის დასტური არ მიუცია. ვილსონი იმ აზრისაა, რომ ზავის შემკვრელნი უნდა დაუბრუნდენ 14 პუნქტს და დროებითი ზავის პირობებს, რომლებსაც წინათ სრულიად ეთანხმებოდნენ, კიდევ უფრო გარკვევით, ვიდრე ორშაბათს, მან სთქვა, რომ მზათაა მიატოვოს კონფერენცია თუ ეს აუცილებელი იქნა. გაზეთები იუწყებიან, რომ ეს ცნობა ალბათ ერთგვარი ფასია. ვილსონის მოადგილემ აღნიშნა, რომ ადგილობრივ ინტერესებს უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ, ვიდრე საერთო ხასიათისას. და რომ საზავო მოლაპარაკების მონაწილენი ისე არიან გატაცებული საკუთარ ინტერესებით, რომ მხედველობაში არ იღებენ იმ 14 პუნქტს, რომელსაც წინათ ეთანხმებოდენ, როგორც ზავის ჩამოგდების საფუძველს. ამ პუნქტების თანახმათ არ უნდა ესწრაფოდენ ანექსიებს.

**ჰანსბერგის დაპატიმრება**

მაგდებურგიდან იუწყები, რომ ეგრეთ წოდებულ „ვახტ პოლკის" ჯარისკაცებმა, გუშინ დღით დააპატიმრეს იუსტიციის მინისტრი ჰანსბერგი, გენერალი ფონ კლეისტი და მე-4 არმიის კორპუსის სარდალი ბარონი ფონ-შვეიკინგი.

ისინი მძევლებათ დაიტოვეს იმიტომ, რომ მთავრობის ბრძანებით დააპატიმრეს ყოფილი დეპუტატები ბრატედი და ფიკელი. ჰანსბერგი დანარჩენებთან ერთად გაძლიერებულ ყარაულით სავენსბერგის ყაზარმებში წაიყვანეს.

**კრონპრინცის დაშავება.**

ვირინგენში გერმანიის ყოფილი კრონპრინცის გაქანებული მოტოციკლეტი დაეჯახა ხეს. კრონპრინცი გადმოვარდა და საგრძნობლათ დაუზიანდა ხელი.

**ახალი ჰაეროპლანები.**

ხანტლეი პეიჯი ოკეანეზე გადასაფრენათ ამზადებს ერთ თავის დიდ ჰაეროპლანს, რომელიც ყუმბარების ჩამოსაყრელათ იქნებოდა გამოყენებული, თუ რომ ომი გაგრძელდებოდა.

**ლოიდ-ჯორჯი.**

ლოიდ-ჯორჯი, რომელიც ავათ იყო, გუშინ გაცილებით კარგათ გრძნობდა თავს.

**საბერძნეთის საზღვრებისთვის.**

საბერძნეთის საზღვრების გამოსარკვევათ დანიშნული კომისია მხარს უჭერს ბულგარეთის თხოვნას, რომ მას გასავალი ექნეს ეგეის ზღვისკენ გავლისა, სოლონიკსა ან დედეაგაჩზე. კომისტა აცხადებს, რომ ბულგარეთი მოკავშირეთა ზედამხედველობის ქვეშ იქნება და საშუალებას მიიღებს ეგეის ზღვით ისარგებლოს თავისუფალ ვაჭრობისთვის. ბულგარეთმა უახლოეს თვეებში უნდა აირჩიოს, რომელი ნავთსადგური სურს მას. ზავის შემდეგ შემოერთებულ ოლქების ბულგარები საბერძნეთის ქვეშევრდომნი იქნებიან, გარდა იმათი, ვინც 6 წელიწამდე ნაკლები სცხოვრობენ იქ და რომლებმაც ამისთვის განსაკუთრებული ნებართვა უნდა ითხოვონ, ბულგარელები რომელნიც საბერძნეთის ქვეშევრდომობას არ მოისურვებენ, ერთი წლის შემდეგ უნდა გადასახლდენ.

**კოლჩაკის არმია.**

კოლჩაკის არმია სწრაფათ წინ მიიწევს ვიატვისკენ.

**წინასწარი ზავი.**

პარიზიდან იუწყებიან, მოსალოდნელია, რომ წინასწარი ზავის პირობები გერმანიის გარდა უნდა მიიღოს აგრეთვე ავსტრიამ, უნგრეთმა, ბულგარეთმა და ოსმალეთმა ხელშეკრულების დამტკიცების შემდეგ დაუყოვნებლივ გამოიცემა დეკრეტი, რომლითაც დანიშნავენ საომარ მოქმედების შეწყვეტის ვადას მეორე დღესვე. შესაძლებელი იქნება შეთანხმების სახელმწიფოთა ყოფილ მტრებთან ვაჭრობის განაგლება. კონფერენციის მოწინააღმდეგის დელეგატებთან 3 კვირაზე ადრე არ დაიწყება.

**ხალხთა ლიგის კომისია.**

დიდ სახელმწიფოთა დელეგაციების მდივნები გუშინ ვერსალში წავიდენ სათათბიროთ დღეისთვის დანიშნული

ხალხთა ლიგის კომისიის საერთო სხდომა ხუთშაბათისათვის გადაიდო, რადგან ვილსონი ჯერ არ მორჩენილა და მას საშუალება არა აქვს მონაწილეობა მიიღოს კამათში.

**მუშათა მანიფესტაცია საფრანგეთში.**

კვირას მოხდა სოციალისტ მუშების მანიფესტაცია.

**პოლონეთის ჯარის დაბრუნება.**

გერმანული ცნობები იუწყებიან, რომ მთავრობას არ შეეძლება შეასრულოს ის პირობები, რომელიც თვითონ წამოაყენა პოლონეთის ჯარის გადაყვანის შესახებ, რადგან გაფიცვა თან და თან უფრო მოსალოდნელი ხდება რკინის გზებზე.

**ედ. ბერშტეინის აზრი დანცინგზე.**

ბერლინიდან იუწყებიან, რომ პოლონელებისთვის დანცინგის გადაცემის გამო შემდგარ საპროტესტო მიტინგზე ედუარდ ბერშტეინმა თუმცა მეტათ გონიერათ ილაპარაკა, მაგრამ ხალხი მას არ დაეთანხმა. მან სთქვა, რომ წინააღმდეგობა უსარგებლოა და გაახსენა, რომ ელზას-ლორენის ლანდმაგმა ერთხმათ დაუჭირა მხარი ამ ოლქების საფრანგეთთან შეერთებას. დანცინგი გერმანული ქალაქია პოლონეთის ტერიტორიაზე და საჭიროა ისე გადაიჭრას ეს საკითხი, რომ დაკმაყოფილებულ იქნენ როგორც გერმანელები ისე პოლონელები. არავის არ ულაპარაკნია ასე და მისმა სიტყვამ ნაციონალისტების აღშფოთება გამოიწვია. მიტინგის მეორე დღეს „მატენ"-ის კორესპონდენტს ინტერვიუ ქონდა ბერნშტეინთან, რომელმაც კორესპონტენს შემდეგი განუცხადა: „გერმანიის ხალხმა ყველაფერი უნდა იცოდეს და მე ყოველ ხელსაყრელ შემთხვევით ვსარგებლობ განუმარტო მას, ის, რაც თვითონ კანონიერათ მიაჩნია. ხალხს უნდა შევაგნებიოთ, რომ ის, რაც მას სამართლიანათ მიაჩნია, სხვას უსამართლობათ მიაჩნია. ხალხს უნდა ვასწავლოთ სისწორით შეხედონ საგანს და უარი სთქვან იმაზე, რის მოპოებაც არ შეიძლება. შემდეგ მან გაკვრით აღნიშნა რეაქციონური და მილიტარისტური საფრთხე და სთქვა რომ მისი აზრით ამათთან გამკლავება ადვილია; მისი აზრით ბოლშევიზმი გამოიწვია მრეწველობის შეფერხებამ. გერმანიის დემოკრატიას გადაარჩენს მხოლოდ სოციალისტურ ბლოკის შედგენა, რომელიც ზღუდეთ აღემატება რეაქცია და ანარქიას.

# უცხოეთის ამბები
## ჟურნალ-გაზეთებიდან

**ბელგიის ნეიტრალიტეტი**

გაზ. „L'aenvre" გვატყობინებს, რომ საზავო კონფერენციაზე აღიძრა ბელგიის ნეიტრალიტეტის საკითხი. ათეულ საბჭომ მოისმინა ტარლიეს მოხსენება და გადასწყვიტა 1830 წლის დადგენილება შესცვალოს. ამიერიდან ბელგია ნეიტრალული სახელმწიფო აღარ იქნება.

**ვილჰელმის ბედი.**

სალონიკიდან იტყობინებიან, რომ კაიზერ ვილჰელმს თავისი ოჯახით ალაჟირში ასახლებენ.

**მღელვარება ესპანიაში**

ესპანიის გარეშე საქმეთა მინისტრს ესროლეს ორი ყუმბარა, მინისტრი გადარჩა. მოკლულია 10 და დაჭრილია 5 კაცი.

**შეიარაღება**

კოსტრიკა ნიკარაგუას წინააღმდეგ იარაღდება, ჩილიში საერთო მობილიზაცია გამოცხადდა პერუს წინააღმდეგ.

**მოკავშირეთა დახმარება სამხრეთ-რუსეთს.**

„ოდ. ნოვ." ჰსწერს, მოკავშირეთა ვერსალის კონფერენციამ რადიო გაუგზავნა ადმირალ კოლჩაკს, რომლითაც ატყობინებს ციმბირში დიდ ძალასა და სამხედრო მასალას გიგზავნითო.

**იაპონიის დახმარება**

იგივე გაზეთი იტყობინება, რომ ციმბირის მთავრობამ იაპონიის წინადადება ჯარითა და მასალით დახმარების მიიღო. სამაგიეროდ იაპონიას უნდა დაეთმოს შორეულ აღმოსავლეთის კონცესსიები ამ ჟამად კოლჩაკის ლაშქარში იაპონიის ასი ათასიანი კორპუსიც შედის.

**სიძვირე პარიზში**

პარიზის გაზეთები ერთხმად მოსთქვამენ სიძვირეზე: ხორცი რომელიც ნიხრის მიხედვით უნდა ღირდეს 10 ფრანკი იყიდება 20 ფრანკად, ბრინჯი 100 კილო 175 ფრანკად ღირებული იყიდება 400 ფრანკად.

თუ მივიღებთ რომ კილო უდრის 2 ნახ. გირვანქას და ფრანკი 37 კაპიკს მაშინ გირვანქა ბრინჯი მოდის 60 კ., ხორცი—70 კ., ერბო—3 მან., კვერცხი ათი—1 მ. 85 კ.

# სოციალიზმის დღესასწაულის შედეგები

სოციალიზმის უტოპიურ თეორიამ იმდენად დააბრმავა თავისი მიმდევრები, რომ გაათელინა ევოლიუციის ყველა ბუნებრივი კანონი და თავისდა საბედისწეროდ საუკუნით წინ გაიჭრა.

ყოვლად წმინდა თვითმპყრობელიდან უცბად კომუნაში ამოაყოფინა თავი...

ასეთ ცვალებადობით დედა-მიწის სულდგმულთაგან მხოლოდ მკრთალი მოგონება თუ დარჩებოდა და ისიც ალბად ზეციერთა მეხსიერებაში.

მაგრამ გადაბრუნება მოხდა და ამით მაინც და მაინც ვითომც არა დაშავებულა-რა, კაცობრიობა მიჰფრენს ზევით.

...და განა ეს არ იწინასწარმეტყველა მრავალ სწავლულმა და მათ შორის სოციალისტმაც?!.

აი თუნდა რასა სწერს მე-19 საუკუნის ნახევარში ფრანგი სოციალისტი პრუდონი:

„სოციალური მოძრაობა მიგვიყვანს მხოლოდ საზარელ გადაბრუნებამდე, რომლის უახლოესი შედეგი იქნება მიწის ნაყოფიერების მოსპობა და საზოგადოებისათვის კი მოსაჭკვიანებელ ტომრის ჩაცმა. თუ ამისთანა წყობილება გაგრძელდება რამდენიმე ხანს, მაშინ ამათ გარდა იგი გამოიწვევს კიდევ ახალ უბედურებას: ხალხის სიკვდილს. როცა მთავრობას ფული გამოელევა და ქვეყანას წარმოება და ვაჭრობა აღარ ექნება, როცა დეპარტამენტებით გარს შემოზღუდული დამშეული დედაქალაქი, არავითარ გადასახადებს აღარ ჰკრებს, როცა აქედან არაფერი გააქვთ და ამისათვის არც პროვინციიდან შემოაქვთ; როცა ათასგვარ საკრებულოთა და გაფიცვათა პოლიტიკით გარყვნილი მუშები დაუწყებენ ყოველგვარ საშუალებით საკვებს ძებნას; როცა სახელმწიფო ჩამოართმევს მოქალაქეთ ოქროსა და ვერცხლის ნივთებს და ზარაფხანაში გაჰგზავნის, როცა გადასახადების ამკრებად დარჩება მხოლოდ ერთად-ერთი საშუალება—სახლების ჩხრეკა, როცა პურის პირველ ძნას ძალით ჩამოართმევენ, როცა პირველ სახლს შეამტვრევენ, როცა პირველ ეკლესიას შეურაცხყოფენ, როცა უნამუსობა და დაუდევრობა გავრცელდება მთელს მხარეში,—მაშინ გაიგებთ თუ რა არის სოციალური რევოლუცია.

შიმშილით აღვირ წახსნილი ბრბო, შეიარაღებული, შურის ძიებით შეპყრობილი, შუბები, ნაჯახები, აშიშვლებული ხმლები, დანები და ჩაქუჩები თქვენ თვალწინ იტრიალებენ; ქალაქი ჩამკვდარი და დამწუხრებულია, პოლიცია თავის ოჯახშია მოკალათებული; ადამიანის ყოველ აზრზე იჭვნეულობენ, ქუჩაში ნათქვამ სიტყვას ყურს უგდებენ, ცრემლებსა და ამოოხვრას ითვლიან, სიჩუმეც კი არ არის უყურადღებოდ დატოვებული, ყველგან ჯაშუშები, ყველგან დასმენა. შეუწყალებელი რეკვიზიციები; ძალით წართმეული პროგრესიული სესხი. ფას დაკარგული ქაღალდის ნაგლეჯები, გარეშე ომები; შინ შეუბრალებელი დიქტატურა, საზოგადოებრივ სიმშვიდის კომიტეტები, გულმრისხანე უმთავრესი კომიტეტი, აი ნაყოფი ეგრედ წოდებულ სოციალურ რევოლიუციისა.

მთელი ჩემი ძალ-ღონით უარვყოფ უძლურს და უზნეო სოციალიზმს, რომელსაც ადამიანის მხოლოდ იმედის წართმევა და დამწუხრება თუ ძალუძს და სხვა არაფერი."

ინგლისის ფილოსოფოსი ჰერბერტ სპენსერი—ჰსწერს, რომ სოციალიზმის გამარჯვება კაცობრიობის მიერ დღემდე განცდილ უბედურებათაგან ყველაზე უმეტესი უბედურება იქნებოდაო და ალბად ყოველივე ეს სამხედრო დესპოტიზმით დაბოლოვდებოდაო. იგი ხაზს უსვამს იმ გარემოებას რომ კოლექტივიზმსა და კომუნიზმს კვლავ მივყავართ პირველყოფილ ბარბაროსობისაკენ და შიშობს ვაი თუ ეს რევოლუცია ახლო მომავალში მოხდესო. ეს გამარჯვების ხანა სოციალიზმის, განაგრძობს იგი, შეუძლებელია დიდ ხანს გაგრძელდეს, მაგრამ იგი დიდათ დაარბევს იმ ერებს სადაც ამას ადგილი ექნება და ბევრს მათგანს სამარის კარამდე მიიყვანს...

ასეთია გამოჩენილ მოაზროვნეთა აზრი სოციალიზმის ბატონობის შედეგებზე: ჯერ საერთო ნგრევა, საერთო დარბევა და საშინელი ანარქია, რომლის წინაშეც არარად მოგვეჩვენება საფრანგეთის ტერორის და კომუნის ხანა, შემდეგ დადგება ხანა ტირანებისა და კეისრებისა, რომელთა ხელშიაც ჩასცვივდება ძველი ბატონების ბოლოს მომღები. ხალხი, დაღლილი ამოდენი ბრძოლითა და ჩხუბითა...

ტირანების ბატონობას მოჰყვებიან იმ დროის მარიუსი და სულლა, რომლებიც ფოლადის რეჟიმზე დაყრდნობილნი აღადგენენ მშვიდობიანობას, მხოლოდ იმის შემდეგ როცა მრავალ ადამიანთა სიცოცხლეს ინაცვალებენ.

აღსანიშნავია, რომ ანარქიის ხანა უფრო რთულდება სხვადასხვა სოციალისტურ პარტიათა შორის ჯიბრობით და ქიშპით.

არ შეიძლება კაცი იყოს სოციალისტი თუ მას რამე ან ვინმე არ ეზარება. თუ სოციალისტებს ეზარებათ დღევანდელი საზოგადოებრივი წყობილება, მათ ერთმანეთი უფრო ძალიან ეჯავრებათ. სწორედ ამ გვერდ შეუქცეველმა აზრთა სხვადასხვაობამ დაღუპა პირველი „ინტერნაციონალი" (საერთაშორისო კავშირი).

უმთავრესი მიზეზი საერთაშორისო კავშირის ჩაშლისა, როგორც ფრანგი სწავლული დე-ლაველეი ამბობს იყო ქიშპობა სხვა და სხვა პიროვნებათა შორის: აქ თავი წამოჰყო უთანხმოებამ, ეჭვმა, ერთმანეთის შეურაცყოფამ და მალე ბოლოც მოეღო ამ კრებას. არავითარი ავტორიტეტი აღარ არსებობდა, შეთანხმება შეუძლებელი შეიქმნა, ასოციაცია ანარქიაში ჩაიშალა და ამ რიგად მივიღეთ საერთო „დომხალი".

მოინდომეს სახელმწიფოსი და მსხვილი მწარმოებელთა მოსპობა; ჰფიქრობდნენ, კოოპერაციის თავისუფალი ინიციატივა წესიერებას თვითვე დაამყარებსო...

მაგრამ მუშათა კლასის ამ მართლა და „ნაღებმაც" თუ ვერ მოახერხა შეთანხმება, თუნდა იმისთანა მათთვის უდავო საკითხზე, როგორიც, ვსთქვათ, ამ საზოგადოების არსებობის საკითხია, რაც „უსინდისო კაპიტალის წინააღმდეგ შებრძოლთა" საერთო მიზანს შეადგენდა, მაშინ უბრალო მუშებზე როგორღა შესძლებდნენ თავის საწინააღმდეგო ინტერესების შეთანხმებას რთულ ეკონომიურ ურთიერთობის დროს.

...არ უნდოდათ დაჰმორჩილებოდნენ მთავარ საბჭოს, რომელიც არავითარ ვალდებულებას არ აკისრებდა და, როგორ გგონიათ დაემორჩილებოდნენ სახელოსნოს მმართველებს, რომლებიც მათ საქმის გაკეთებას მოსთხოვდნენ.

შემდეგ: სოციალიზმის ბატონობის დროს სახელმწიფო იბარებს წარმოების ყველა დარგებს. ეს იწვევს დამზადებული საქონლის ფასის გადიდებას, ვინაიდან იგი გაცილებათ ნაკლები უჯდებოდა კერძო მწარმოებელს. ეს რასაკვირველია, გამოიწვევს სახელმწიფოს მიერ ერის დიდი თუ მცირე ნაწილის ამ საქმეში იძულებით ჩაბმას, რაშიაც მცირე ჯამაგირს მისცემენ... ერთი სიტყვით, აუცილებელი შეიქნება მონობის აღდგენა. მონობა, სილატაკე და დესპოტიზმი აი, ის აუცილებელი უფსკრული, საითკენაც მიგვაქანებს სოციალისტური უტოპია.

ადამიანს არ ძალუძს გარდაქმნას საზოგადოება ისე, როგორც ეს მას სწადიან.

საზოგადოებრივი წყობილება ძალიან ფაქიზი ორგანიზმია და მას ძალიან ფრთხილად უნდა ვეხებოდეთ.

ჩვენ უნდა ვემორჩილებოდეთ ბუნების კანონებს, რომელიც ადამიანის გამგებლობაში არ არის. დღევანდელი ცივილიზაცია შეადგენს იმ ჯაჭვის ნაწილს, რომლის რგოლებიც უხილავი ძაფებითაა ძველთან დაკავშირებული... ხალხის ბედს განაგებს მისი სული, რომელიც საუკუნოებით იჭედება. საზოგადოებათა განვითარება აუცილებლად ხდება განუწყვეტლივ და, რასაკვირველია, მომავალი საზოგადოება დღევანდელს არ მიემსგავსება; მაგრამ ამასთანავე ისიც ცხადია, რომ არც ჩვენი ფანტაზია და არც ჩვენი სურვილები არავითარ გავლენას არ ახდენდნენ ამ ევოლიუციაზე.

შეადარეთ ზემოთ ნათქვამი რუსეთის სინამდვილეს და თქვენ დარწმუნდებით, რომ ყველაფერი ეს უკვე მომხდარი ფაქტია.

ვინც ილიუზიებით და სახელის განთქმის ჟინით არ არ არის შეპყრობილი, როგორც ეს დოგმატიკოსებსა სჩვევიათ და ვისთვისაც ჭეშმარიტებაა რომ ყოველთვის, როცა მოუნდება ვერ შესძლებს ჯაჭვ გაწყვეტილ მხეცის დაბმას (კერენსკი) მას ეს კარგად ესმის.

თუმც ჩვენი ქვეყნის ბედი ჰკვიან ხალხის ხელთ არი, მაგრამ მაინც საჭიროდ ვსთვლი მოვაგონო დიდი მოაზროვნეთა გაფრთხილებანი, რადგან ძალიან დასანანია „მშვენიერი საქართველო".

დაეხმარეთ მას მოლიპულ გზაზე, ნუ ახდენთ ექსპერიმენტებს, თორემ თქვენთან ერთად ისიც ჩაიხრჩობა ხალხის სისხლში.

აუცილებელია სოციალურ რეფორმების გატარებაში განათლებულ ქვეყნებს დაუცადოთ.

# ზაქათალის ოლქის ამბები

გაზეთ „გრუზია"-ში შემდეგი წერილია მოთავსებული პოლკოვნიკი ნადირაშვილისა ზაქათლის ოლქში „ქართული მისსიის" „აღმოჩენის" გამო:

„თბილისის გაზეთებში გადაბეჭდილი იყო შენიშვნა გაზეთ „აზერბეიჯან"-იდან—„საქართველოს პრეტენზიები", რომელშიაც მოყვანილი იყო დეპეშა აზერბეიჯანის პარლამენტის თავმჯდომარის სახელზე სოფელ კახიდან პარლამენტის წევრის ქუჩუკხანოვისაგან ხელმოწერილი. დეპეშა იტყობინება: „რაღაც საეჭვო ქართული მისსია ორი პოლკოვნიკისა, სამი ოფიცრისა და ექვსი შეიარაღებულ მილიციონერებისაგან შემდგარი ერთი კვირაა რაც დაიარება გუბერნიაში, ეწევა პროპაგანდას და სხვ..."

აღნიშნული დეპეშა სრულებით არ შეეფერება სინამდვილეს, წარმოადგენს გაუგებრობას სავსებით და ამტკიცებს მხოლოდ იმას, თუ როგორ სასოწარკვეთილებაში ცვივიან აზერბეიჯანის ზოგიერთი წრეები ზაქათლის ოლქში. ქართველების უბრალო გამოჩენაც კი, მაშინ, როდესაც აზერბეიჯანელები ათასობით თავისუფლად ცხოვრობენ და მუდმივად იმყოფებიან საქართველოში და ქართველთა შორის არც განირჩევიან და არც მით უმეტეს შიშს არ იწვევენ.

საქმე ასე იყო: ქართულ სოფელ კახის მცხოვრებმა პოდპოლკოვნიკ ტარტარაშვილმა მე, პრაპორშჩიკი ფავლენიშვილი და ექიმი წიწვიძე მიგვიპატიჟა თავისთან. გზაში თავდაცვისათვის ჩვენ გავიყოლიეთ სამი შეიარაღებული ჯარისკაცი, ხოლო ზაქათალიდან გენერალ-გუბერნატორმა, ჩემის თხოვნით, გვაახლა კიდევ ორი მხედარი. ჩვენთანვე გაემგზავრა კახის მცხოვრები ბართლომე ხუციშვილი, რომელიც დარბევისა და აწიოკების გამო 1918 წელში იძულებულ იყო გამოქცეულიყო ოლქიდან და ეხლა მიდიოდა გადარჩენილ მამულ-დედულის დასათვალიერებლად.

ჯერ კიდევ გზაში პოლკოვნიკი ტარტარაშვილი მძიმედ დასნეულდა და ორი დღის მძიმე ავადმყოფობის და ტანჯვის შემდეგ სოფელ კახში გარდაიცვალა, სადაც ჩვენ ის დავასაფლავეთ.

არავითარი პროპაგანდა არავის გაუწევია. ეს სრულებით არ შეადგენდა ჩვენი კერძო მოგზაურობის მიზანს და, გარდა ამისა, პროპაგანდა ხომ სრულიად ზედმეტია: ჩვენ საკმაოდ დარწმუნებული ვართ, რომ ზაქათალის ოლქის მცხოვრებთა დიდი უმეტესობა უღრმეს სიმპატიით ეპყრობა საქართველოს. როგორცა სჩანს, ამას აზერბეიჯანელებიც კარგად ჰგრძნობენ, რომ ისეთი უმნიშვნელო ფაქტის გამო, როგორიც იყო ჩვენი მოგზაურობა, ისინი საგანგებო დეპეშებს აფრენენ აქა-იქ და გაზეთებში კი აურზაური აუტეხიათ".

# მესაფლავე
(ამბავი)

I

ამბარცუმას ჰკუაში უჯდებოდა ეხლანდელი შეხედულობა-აზრები და გაიფიქრა:

— რახან ღმერთი არ არის და უფროს უმცროსის პატივისცემა, მე რაღა თავი გამომიდვია რომ... პატიოსნებამ და მოკრძალებამ ლამის არის სული ამომართვას... გეო ჰკვიანია რომ არაფერი არა სწამს თავის კუჭის მეტი და თავის ოჯახი ჩემ ოჯახივით მშიერ-მწყურვალი და შიშველ-ტიტველი არა ჰყავს... დროა მეც გონზე მოვიდე...

ამბარცუმა და გეო—ორივენი სასაფლაოს მოხელეები იყვნენ: ამბარცუმა საფლავის ამომთხრელი იყო, გეო კიდევ სასაფლაოს ყარაული მცველი.

ორივეს გასამრჯელო—ჯამაგირი თითქმის ერთნაირი ეძლეოდა და... გეო თავის ცოლშვილით ყოველთვის მაძღარი და კმაყოფილი იყო, ამბარცუმა კი თავის ცოლშვილით მშიერი და მწყურვალი, თუმცა არც ერთ და არც მეორეს თავის შრომის მეტი არა გააჩნიათ რა სხვა რამ წყარო სარჩო-საბადებელი...

— კაცო, შენ ერთავად თეთრ პურს სჭამ და მეკი კუჭი მჭადით ვერ გამიძღვია,—ვითომდა ეხუმრებოდა ხოლმე ხანდისხან ამბარცუმა გეოს: ეს რაამბავია.

— შენ რომ უზნო და უფხო იყო, ჩემი რა ბრალია,—გონებაში ჩააგდო ამბარცუმა გეომ: ამ სასაფლაოზე დიდი ქონებაა... ყველას გვეყოფა...

ამბარცუმა თითქო მიჰხვდა გეოს ლათაიას ისე გაიღიმა და გულში ჩაილაპარაკა:

— მე კი არ ვიცი... კაცმა სვინიდისზე ხელი არ აიღოს, თორემ ადვილია ცხოვრება.. აი იმდღეს ისეთი მდიდარი ცხედარი ჩავასვენეთ საფლავში, რომ... ათას თუმნის საუნჯეტანისამოსი ჩაყვა—ჩაატანეს...

II

ამბარცუმას ოჯახს ბოლო ხანებში ცოტა არ იყოს გამოუმჯობლობის ნიშან-წყალი დაეტყო: ჭამა-სმაც კარგი ჰქონდათ, ჩაცმა-დახურვაც.

ამბარცუმას ცოლ ხამფერას ძონძებში ველარ ნახავდით: ნაირ-ნაირ ტანისამოსით გამოდიოდა, თითებზე ბეჭდებიც კი ჰქონდა...

— სადა შოულობ ამეებს? რომელმა ხატმა გადმოგხედა?—არა მალამდა კმაყოფილებას ხამფერა: გმადლობ შენთვის ღმერთო...

— შენ ხილი ჭამე, მებაღეს რასა კითხულობ,—ახსნა არ ესიამოვნებოდა ხოლმე ამბარცუმას: ერთხელაც კოჭლი წინ ხომ გაგიგია...

— გიყაჭოს და გიპრიანოს ღმერთმა,—კვერს უკრავდა ხამფერა: არ გვეყო ამდენი ბეჩაობა. მუშები ყველანი აშენდნენ და ჩვენ რაღა ვართ, აგერ გეომ სახლიც იყიდა... ადრე ქონიც კი ენატრებოდა.

— მოსავალს მოთმენა ნდომებია...

— არა, უფრო კი ფხიანობა უნდა, სინიდისის მაყურებელი და გადამკიდე ეხლა პურს ვერ შესჭამს... ცოტა გაიძვერობაც უნდა...

ამბარცუმას „სინიდისის" ხსენებაზე და „გაიძვერობის" გაგონებაზე ნირი ეშლებოდა, ცუდ გუნებაზე ხდებოდა.

— რა იცი შე უბედურო, რომ მეც გეოს ამხანაგი ვარ... [illegible] ხოდა ამბარცუმა: [illegible] ტანისამოსით გამოვდივართ, მკვდრები ჩვენ გვინახამენ...

— შენ გენაცვალე, ეგება როგორმე „ჩულქები" და „პოლსაპოჟკები" მიპოვნო როგორმე,—ელერსებოდა კიდეც ხამფერა ამბარცუმას: ახალ ტანისამოს დაგლეჯილი „ჩულქები" და ჯღანი ფეხსაცმელი არ უხდება...

— სიცოცხლე იყვეს, თორემ ადვილია, მაგაზე არ გაწყენებ...

ამბარცუმას წყენა არ უნდოდა ხამფერასი, მით უფრო, რომ დაზედ გლოვიარეთ იყო და... დარდობდა.

— სააღდგომოთ ეგება მოახერხო...

— ხათრი ჯამად იყავ.

III

აღდგომა დღეს დილაადრიანად ადგა ამბარცუმა და... მიულოცა ხამფერას.

— მშვიდობაში გაცვითე... „პროშტი" მეკუთვნის ფეშქეშისთვის! ესეც შენი „პოლსაპოჟკები" და „ჩულქები"!

ხამფერამ არ დაიშურა „პროშტი" და გამოართვა ამანათი. ქაღალდში გახვეული...

— ქა, ეს რა არის, ეს ხომ...—გახსნა თუ არა, ისევ ცივად შეახვია გაოცებულმა ხამფერამ: ვუი დამიდგეს თვალები...

— რა იყო ქალო,—თითქო პირშავიაო, ისე თავჩაღუნული და ენა ჩავარდნილივა იყო ამბარცუმა: შენ არ მითხარი „ჩულქები" და პოლსაპოჟკები" მიშოვეო, მეც გიშოვნე...

— ეს ხომ...

— რა?

— ჩემი დისაა?! ნუ თუ...

— გეომ მომცა...

— გეო იმას და ჭირი!..

— ვა, ჩემი რა ბრალია... ღმერთი რჯული მე არ მომითხრია...

— აი თვალები კი გამოგეთხარათ ორივეს... წადი წაიღე ეხლავე თორემ... ვინ იცის გაატიტვლეთ კიდეც...

— ვა, მე რას მიყვირი... ან გეო რას იცნობდა შენ დას... დაჩუმდი, თორემ ციხეში გვიკრამენ თავს.

**დუშელი ვანო.**

# მატარებლების მიმოსვლა

11 თებერვლიდან.

**მატარებლები თბილისიდან ფოთში:**

მ. № 1 სასწრაფო საღ. 7 საათ. 30 წ.
ხაშურიდან — ღამ. 10 ს. 52 წ.
შორაპნიდან — ღამ. 1 ს. 34 წ.
სამტრედიიდან—ღამ. 3 ს. 50 წ.
ფოთში — დილის 5 ს. 50 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 20 მ.

მ. № 3 საფოსტო დილის 10 ს. 30 წ.
ხაშურიდან —დღის 3 ს. 08 წ.
შორაპნიდან—საღამოს 6 ს.
სამტრედიიდან—საღ. 8 ს. 34 წ.
ფოთში — ღამის 10 ს. 43 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 10 მ.

**მ. № 9 სამგზავრო ქუთაისამდე.**

საღამოს 10 საათ. 30 წ.
ქუთაისში მივა დილ. 7 ს. 21 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მ.

**მ. № 19 სამგზავრო ბორჯომამდე.**

დღის 3 საათზე 30 წ.
გორიდან —საღამოს 6 ს. 30 წ.
ბორჯომში მივა საღ. 9 ს. 27 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მ.

**მ. № 4 საფოსტო ბაქომდე.**

ღამის 1 საათზე 10 წ.

**მ. № 8 სამგზავრო განჯამდე:**

დღის 3 საათზე 35 წ.

მ. № 6 სასწრაფო საღ.—9 ს. ბაქომდე.
პლაცკარტის ფასი ბაქომდე 1 კლ. 60 მ., 2 კლ. 40 მ., 3 კლ. 20 მ.

**ყარსიხკენ—ერევანში**

მ. № 4 საფოსტო —დღის 1 ს. 40 წ.

**თბილისში მომავალი მატარებლები.**

**ფოთიდან—თბილისში.**

მ. № 2 სასწრაფო—დილ. 9 ს. 41 წ. ფოთიდან გამოვა საღ. 11 ს.
მ. № 4 საფოსტო საღ. 8 ს. ფოთიდან გამოვა დილის 7 საათ. 40 წ.

**მ. 12 ქუთაისიდან:**

დილის 8 ს. 15 წ. ქუთაისიდან გამოვა საღ. 10 საათ. 33 წ.

**მ. № 20 ბორჯომიდან**

დილის 7 ს. 20 წ. ბორჯომიდან გამოვა ღამ. 12 ს. 46 წ.

**ბაქოდან**

მ. № 3 საფოსტო დღის 4 ს. 30 წ.
მ. № 5 სასწრაფო დილის 7 ს.
მ. № 7 სამგ. განჯიდან დილ. 8 ს. 30 წ.
მ. № 5 პლაცკარტიანია; პლაცკარტის ფასი 1 კლ. 60 მ., 2 კლ. 40 მან., 3 კლ. 20 მ.

**ნახიჩევანიდან და ყარსიდან**

მ. № 3 საფოსტო—დილ. 11 ს. 30 წ. ამათ გარდა კვირა უქმე დღეებში.

**თბილისსა და მცხეთის შუა**

იქნება შემდეგი მატარებ. მიმოსვლა.

მ. № 61 **თბილისიდან**
დილის 7 ს. 37 წ.
მ. № 63 დღის 3 ს.

**მცხეთიდან მოდის**

მ. № 62 დილის 11 ს. 10 წ.
მ. № 64 საღამოს 7 ს. 20 წ.


მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა

**გ. გ. მეგრაბიანცი**

შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში, გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსევალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ღარიბებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 24—17—92.

სამკურნალო კაბინეთი ექიმის

**ალექსანდრე დავითის ძის ჰეჰელიასი**

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათ. 11 საათ. და საღამოს საათ. 6 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ, ტელეფონი 14—28.

მედიცინის ექიმი

**ე. ა. მონსე**

ნერვიული, შინაგანი და საბავშო სნეულებანი. მკურნალობა ელექტრონით, სიმსუქნის მკურნალობა ბერგონიეს აპარატით, სალსრების მკურნალობა ლინდემანის აპარატით; ფსიხოტერაპია, ჰიპნოზი. მიღება 10 ნახ. ს. დღ. საღამოს 6—7 ს. ყოველდღე, კვირის და ხუთშაბათის საღამოს გარდა. მიხეილის პროსპ. № 111. ტელეფონ 13—42.

50—2119—36


სტამბა „[illegible]", [illegible] შესახვევი № 4.